პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 188 (9964) | სამშაბათი, 10 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

# მთავარია ცოცხალი, კონკრეტული ხელმძღვანელობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიის სასოფლო რაიკომების გარდაქმნის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის ცოცხალი ხელმძღვანელობის გაძლიერება კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი. არა მარტო რაიკომების მუშაკები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც შედიან ინსტრუქტორთა ჯგუფებში მტს-ების ზონების მიხედვით და ცხოვრობენ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის, არამედ აგრეთვე ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების ხელმძღვანელი მუშაკები ახლა უფრო ხშირად მიდიან ადგილებზე. ისინი მეტ დროს ატარებენ რაიონებში, უახლოვდებიან კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს და კონკრეტულ, ქმედითს დახმარებას უწევენ რაიონულ და ძირეულ მუშაკებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრაში.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ პარტიული ხელმძღვანელობის დაახლოება კოლმეურნეობებთან, მტს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებთან დადებით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაში საქმის მდგომარეობაზე. ფაქტები მოწმობენ, რომ იქ, სადაც ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები თავიანთ ღონისძიებებს ახმარენ მასებში ცოცხალ ორგანიზატორულ საქმიანობას, ბოლოს უდებენ ხელმძღვანელობის კანცელარიულ მეთოდებს, იქ უკეთ მიმდინარეობს სამეურნეო კამპანიები, არის შედეგები სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საყოველთაო-სახალხო ამოცანის განხორციელებაში.

ეს შეიძლება დავინახოთ გასულ გაზაფხულზე იხეთი დიდი და რთული ამოცანის გადაჭრის მაგალითით, როგორიც არის ბრძოლა ყამირი მიწების ათვისებისათვის. ამ საქმეში მიღწეული წარმატებანი ბევრად უზრუნველყოფილია პარტიული კომიტეტების ცოცხალი, ოპერატიული, კონკრეტული ხელმძღვანელობით რაიონებისადმი, კოლმეურნეობებისადმი, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი. იმ მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელი საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, სადაც ყველაზე მეტი ყამირი მიწები იხვნება, თესვის დღეებში იმყოფებოდნენ რაიონებში, ადგილზე ეხმარებოდნენ გადაუდებელი საკითხების გადაჭრაში, რაზმავდნენ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მასებს თავდადებული შრომისათვის.

გამოცდილება მთელი სიცხადით ადასტურებს, რომ ეფექტიანი, ესე იგი ისეთი, რომელსაც კონკრეტული დადებითი შედეგები მოაქვს მეურნეობაში, შეიძლება იყოს მხოლოდ კვალიფიციური, კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობა. ასეთი კი არის მხოლოდ ცოცხალი ხელმძღვანელობა, რომელიც ემყარება პარტიული კომიტეტების ფორმო, მუდმივ კავშირს მასებთან, ადგილებზე ხელმძღვანელი კადრების უშუალო პრაქტიკულ მუშაობას, საქმის ზედმიწევნით ცოდნას.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებზე პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, მიმდინარე გადაუდებელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების — მოსავლის აღების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის, საშემოდგომო თესვის, მზრალად ხვნის ჩატარებაში მნიშვნელოვან წარმატებათა მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ხელმძღვანელი კადრები უფრო ხშირად იმუშავებენ ადგილებზე — რაიონებში, მტს-ებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, განუმარტავენ მშრომელებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მობილიზაციას გაუკეთებენ და დარაზმავენ მასებს პარტიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მასებში ორგანიზატორული მუშაობის გაუწევლად არ არის და არც შეიძლება იყოს ცოცხალი ხელმძღვანელობა.

საოლქო, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ამასწინანდელ პლენუმებზე, რომლებმაც განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ცოტა როდი ითქვა ფორმალურ გარდაქმნაზე, მოჩვენებითს ცოცხალ ხელმძღვანელობაზე. აი ერთ-ერთი დამახასიათებელი გამოსვლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პლენუმზე.

— ჩვენთან რაიონში, — ამბობდა პლენუმზე კარსუნის რაიკომის მდივანი ამხ. მიაკიშევი, — ოლქიდან ცოტა ხელმძღვანელი მუშაკი როდი ჩამოდის. მაგრამ მათ თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ მხოლოდ მიგვითითონ სუსტ ადგილებზე მუშაობაში, შემდეგ კი მიდიან და მიაჩნიათ, რომ მივლინება წარმატებით შეასრულეს. ასეთი მივლინებებიდან ჩვენ კონკრეტულ დახმარებას ვერ ვიღებთ.

ცოცხალი ხელმძღვანელობა, არა ფორმით, არამედ არსებითად, ნიშნავს რომ რაიონსა ან კოლმეურნეობაში ჩასული მუშაკი რჩება იქ იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა საქმისათვის, ღრმად სწვდება მეურნეობის, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობას, საფუძვლიანად ეცნობა კადრებს. მას მოძრაობაში მოჰყავს ყველა საშუალება, რათა წარმატებით შესრულდეს მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიები, საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობის წარმატებით გადაჭრას.

ნამდვილი მუშაკი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს შემჩნეულ ნაკლოვანებებს და, ყოველ შემთხვევაში, არ დასჯერდება მითითებებს, რომ საჭიროა ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, არამედ მიაღწევს იმას, რომ ეს ნაკლოვანებანი აღმოიფხვრას. ასეთ მუშაკს საჭიროდ მიაჩნია არა მარტო მიუთითოს, თუ რა უნდა გააკეთონ, არამედ კიდეკიც ურჩიოს, უკეთ როგორ მოაწყონ საქმე, როგორ გადალახონ სიძნელეები, როგორ დარაზმონ ადამიანები ამოცანის გადასაწყვეტად და ამავე დროს გაანაწილონ ადამიანები ისე, რომ ძალების მინიმალური დახარჯვით მაქსიმალური შედეგები მიიღონ.

სამწუხაროდ, არის ფაქტები, როცა ფორმალური გარდაქმნით, უფრო ხშირი გამგზავრებით ფარავენ ნამდვილი ცოცხალი ხელმძღვანელობის უქონლობას. ასეთ შემთხვევებში გამგზავრება ამოიწურება მუშაკის ძალიან ხანმოკლე ყოფნით ადგილზე და გარდუვალი მოწოდებებით „დავაწვეთ“ და „ვიმოქმედოთო“. ჯერ კიდევ არნან ხელმძღვანელები, რომლებიც, უწესრიგობას რომ შეხვდებიან, სჯერდებიან მხოლოდ დირექტივებს ამ უწესრიგობათა ლიკვიდაციის შესახებ. ისინი მალე იგიწყებენ თავიანთ მითითებებს, მერე კი, როცა რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ აღმოჩნდებიან კოლმეურნეობაში, უკვირთ, რომ იქ ყველაფერი ძველებურად არის და კვლავ იგივე ნაკლოვანებანია.

ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი კოლმეურნეობებსა და მტს-ებში ყოფნისას ნაკლებ ეწევა კონკრეტულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მასებში, ხშირად იხე იქცევა, როგორც ცუდი რწმუნებული, ივიწყებს თავის პასუხისმგებლობას კოლმეურნეობათა საქმის მდგომარეობისათვის. მუშაობის ასეთი სტილი, ამასთან მოსავლის აღების ყველაზე ცხარე, დაძაბული დღეებში, ახასიათებს, მაგალითად, ტულის ოლქის მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელებს. სამწუხაროდ, ამ მხრივ ცუდ მაგალითს უჩვენებს რაიონულ მუშაკებს პარტიის ტულის საოლქო კომიტეტის ზოგიერთი ხელმძღვანელიც. ამას წინათ ბოლოხოვის რაიონში იყვნენ საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. სედოვი და საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. კოზლოვი. ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობაში მათ აღმოაჩინეს, რომ მინდვრად არ არის მოსავლის ასაღები უმარტივესი მანქანები. თითქოს საჭირო იყო რაიონის მუშაკებთან ერთად მოეწყოთ პურეულის მოსავლის აღება როგორც კომბაინებით, ისე სამკელი მანქანებით. მაგრამ ეს არ გაკეთებულა. ისინი რაიონში დარჩნენ საათნახევრის და ისე წავიდნენ, რომ არ მიუღიათ არავითარი კონკრეტული ღონისძიება მოსავლის აღების ტემპის გასაძლიერებლად. სამაგიეროდ მეორე დღეს საოლქო კომიტეტიდან ჩამოვიდა ბრიგადა, რათა შეესწავლა მოსავლის აღების უმარტივესი მანქანების ცუდი გამოყენების საკითხი... საოლქო კომიტეტის ბიუროზე ამ საკითხის დასაყენებლად.

ცხადია, რომ ასეთი „ცოცხალი“ ხელმძღვანელობა ქმნის მხოლოდ ხელმძღვანელობის მოჩვენებითობას და არ აუმჯობესებს საქმეს, არაფერს არ ასწავლის ადგილობრივ კადრებს. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ ამგვარ პრაქტიკას რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო.

ჩვენი კადრებისათვის, განსაკუთრებით ადგილზე გამგზავრებისას, მთავარია ცოცხალი, კონკრეტული, ორგანიზატორული მუშაობა. ეს მუშაობა შეიძლება იყოს უაღრესად მრავალფეროვანი, მაგრამ ყოველთვის ეს უნდა იყოს მუშაობა ადამიანებთან და მას თან უნდა ახლდეს საქმის მდგომარეობის გაუმჯობესება რაიონში, კოლმეურნეობაში, მტს-ში, საბჭოთა მეურნეობაში, თან უნდა ახლდეს პრაქტიკული სამეურნეო შედეგები. თუ მუშაკი იყო კოლმეურნეობაში, სადაც, ვთქვათ, ცუდად მიმდინარეობდა მოსავლის აღება, და მისი წასვლის შემდეგაც ამ კოლმეურნეობაში მდგომარეობა ისეთივე დარჩა, მაშინ ის ყოფილა ფაქტების უბრალო რეგისტრატორი, რომელსაც არ შესწევს ცოცხალი მუშაობის უნარი, რომელმაც ვერ გიგო მთავარი: რომ ახლანდელ პირობებში ხელმძღვანელობა ნიშნავს ადამიანების დარაზმვას უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, და მუშაობაში წარმატების მიღწევას.

სოფლის მეურნეობაში ახლა ყველაზე პასუხსაგები პერიოდია, რომელიც წყვეტს მთელი წლის წარმატებას. მოსავლის აღება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება და შესყიდვა და მასთან ერთად საკვების დამზადება და მომავალი საშემოდგომო მინდვრის სამუშაოები მოითხოვს პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებას, პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების ცოცხალი ხელმძღვანელობის გაძლიერებას კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი.

საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას მუშაობის კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდები, რომლებსაც გარეგნულად ფარავენ ადგილზე უფრო ხშირი წასვლით.

ცოცხალი ხელმძღვანელობა პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს ხელმძღვანელობა იყოს ნამდვილად ცოცხალი, ოპერატიული და კონკრეტული, მაქსიმალურად ეფექტიანი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

„პრავდის“ 8-VIII მოწინავე.

## ყაზახეთის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის გეგმა

ალმა-ათა. ყაზახეთის სსრ კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის გეგმა. პირველი აგვისტოსათვის მოხნულია 4.201 ათას ჰექტარზე მეტი ახალი მიწები, გეგმით კი გათვალისწინებულია 4.100 ათასი ჰექტარის მოხვნა.

პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს აკმოლინსკის, პავლოდარის, ჩრდილოეთ ყაზახეთის, აქტიუბინსკისა და ყარაგანდის ოლქების მექანიზატორებმა და კოლმეურნეებმა.

გრძელდება ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნა 1955 წლის თესვისათვის. (საკდესი).

## საქართველოს კომგაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

**კომბაინერის მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამმუშავების, არამედ აგრეთვე დღიურ დავალებათა შესრულების მიხედვით, არა მარტო მომკილი ჰექტარების რაოდენობის, არამედ უწინარეს ყოვლისა ჰექტარზე გალეწილი მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

• • •

### ვალდებულებებს ანალდებენ

#### დუშეთის მტს-ში

**გარსევან სანაშვილი** 10 დღეა მოსავლის იღებს ბაზალეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ ხნის განმავლობაში მან „სტალინეც-6“ ნარკის კომბაინით პურეული აიღო 152 ჰექტარზე. შრომის განსაკუთრებით მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია კომბაინერმა 5 და 6 აგვისტოს. პირველ, დღეს მან მოიკა 22 ჰექტარი, ხოლო მეორე დღეს — 27. მოწინავე კომბაინერს, რომელნაც სოციალისტური შეჯიბრებით 25 სამუშაო დღეში 500 ჰექტარზე უნდა აიღოს მოსავალი, გადაწყვეტილი აქვს ვადამდე გაანაღდოს ნაკისრი ვალდებულება.

**ზალვა კელეხაშვილს,** რომელიც 16 დღეა მოსავლის აღებაზე თვითმავალი კომბაინით მუშაობს, უკვე მომკილი აქვს 227 ჰექტარი პურეული. ამით მან შეასრულა მკის სეზონური დავალება და ახლა გეგმის გადამეტებით იღებს პურეულს. მის კომბაინზე ამაყად ფრიალებს გარდამავალი წითელი დროშა.

#### სტალინირის მტს-ში

**ფედია მურაშნიკოვმა** 9 სამუშაო დღეში 140 ჰექტარი პურეული აიღო და გალეწა 1.196 ცენტნერი მარცვლეული.

**ალექსანდრე კვინიხაძე** ერთ-ერთი მოწინავე მექანიზატორია. მოსავლის აღების დაწყებიდან მომკა 176 ჰექტარი პურეული. ყოველდღიურად „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 15-16 ჰექტარს იღებს ნაცვლად 10 ჰექტარისა.

#### თეთრი წყაროს მტს-ში

**გიორგი ფეოდოროვი** მოსავალს იღებს სოფელ დურნუკის კოლმეურნეობაში. 20 დღის განმავლობაში მან 400 ჰექტარზე აიღო პურეული და გალეწა 3.850 ცენტნერი მარცვლეული. მისი ვალდებულებაა სეზონში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მომკას 500 ჰექტარი.

**ოგანეს ოვაკიმოვი** თვითმავალი კომბაინით ორმაგად ასრულებს მკის ყოველდღიურ დავალებას. ამან საშუალება მისცა მოწინავე კომბაინერს გადაჭარბებით შეესრულებინა მოსავლის აღების სეზონური დავალება. 20 სამუშაო დღეში მან 320 ჰექტარი მომკა სოფელ ქოსალარის კოლმეურნეობაში.

## ზიბაანის და ნაუპარეულის მტს-ებმა შეასრულეს მოსავლის აღების გეგმა

ტიბაანის მტს-მა გადამეტებით შეასრულა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა. 6.520 ჰექტარის ნაცვლად აღებულია 6.783 ჰექტარი პურეული, საიდანაც გალეწილია 10.220 ტონა მარცვლეული.

ნაფარეულის მტს-მა 2 აგვისტოსათვის შეასრულა მოსავლის აღების გეგმა. კომბაინერებმა შ. დურგლიშვილმა, ს. მანგრშვილმა, გ. ყველიაშვილმა, რ. სუმბაძემ გადამეტებით გაანაღდეს მკის სეზონური დავალებები.

# სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა თათბირი იმერეთ-რაჭა-სვანეთის კოლმეურნეობებში

მალცევო (ყურგანის ოლქი). 8 აგვისტო. (საკდესი). როგორც უკვე ვიცოდით, გუშინ სოფელ მალცევოში საკოლმეურნეო საცდელი სადგურის ტერიტორიაზე სპეციალურად აგებულ პავილიონში გაიხსნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა თათბირი. თათბირი, რომელიც სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოიწვია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მიეძღვნა კოლმეურნეობის „ზავეტი ლენინა“ მემინდვრის, კურგანის ოლქის შადრინსკის საცდელი სადგურის დირექტორის სტალინური პრემიის ლაურეატის ტ. ს. მალცევის მუშაობის მეთოდების შესწავლასა და გავრცელებას.

თათბირზე მოხსენება გააკეთა ტ. ს. მალცევმა, რომელმაც თქვა:

— მინდვრების მოსავლიანობის გადიდებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ნიადაგის ნაყოფიერების მნიშვნელოვან გადიდებას.

ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების „კანონი“, რომელიც რეაქციულმა მეცნიერებამ გამოიგონა, უარყო პროგრესულმა საბჭოთა მეცნიერებამ და მოწინავე პრაქტიკამ. მიჩურინულმა მეცნიერებამ და პრაქტიკამ ცხადყვეს, რომ რაც უფრო მეტია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი, მით უფრო იზრდება ნიადაგის ნაყოფიერება.

ყველა მცენარეს, როგორც მრავალწლიანს, ისე ერთწლიანს, აქვს საერთო თვისება დატოვოს ნიადაგში მეტი ორგანული ნივთიერება, ვიდრე იგი იხარჯება. სადგურში წარმოებულმა ცდებმა დაადასტურა, რომ მოუხნავ, ოდნავ აოშილ ნიადაგში შეიძლება მივიღოთ არა ნაკლები, არამედ ბევრ შემთხვევაში მეტი მოსავალი, ვიდრე მოხნულ უანაში თესვისას.

ცდების ფართო წარმოებისათვის კოლმეურნეობაში შემოღებულია ორი მინდვრის თესლბრუნვა მოკლე როტაციით, მრავალწლიანი ბალახების დაუთესავად: ერთი — ოთხმინდვრიანი, მეორე — ხუთმინდვრიანი. პირველ თესლბრუნვაში, როცა თვითეული მინდვრის ფართობი 570 ჰექტარია, მიღებულია შემდეგი მონაცვლეობა: ანეული, საგაზაფხულო ხორბალი, ერთწლიანი ბალახები თივად და მარცვლად, საგაზაფხულო ხორბალი; მეორეში, როცა მინდვრების ფართობი საშუალოდ 420 ჰექტარია თვითეული, — ანეული, ხორბალი, შვრია, ერთწლიანი ბალახები თივად და მარცვლად, საგაზაფხულო ხორბალი. საკვებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველყოფისათვის შემოღებულია მდელო-საძოვრებისა და ფერმისპირა თესლბრუნვები. თესლბრუნვები, რომლებიც წარმოებს ჩვენ მიერ შემუშავებული აგროტექნიკით, ადიდებს მინდვრების ნაყოფიერებას.

ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემა ითვალისწინებს ანეულის ღრმად ხვნას უფრთო გუთნებით 40-60 სანტიმეტრ სიღრმეზე, შემდეგ ამ მინდვრებში ბალახის, მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების თესვას სამოთხი წლის განმავლობაში აოშილ ნაწვერალზე მოუხნავად. უფრთო გუთნებით ღრმად ხვნა ნიადაგის სხვადასხვა ფენას ძველ დონეზე ტოვებს, სპობს მთელ რიგ მრავალწლიან სარეველა ბალახებს, ადიდებს გაკულტურებული მიწის სისქეს, ამცირებს მისი სტრუქტურის მექანიკურ დანგრევას, შესაძლებელს ხდის ნიადაგში ტენის რაც შეიძლება მეტ დაგროვებას. განსაკუთრებით ეფექტიანია უფრთო გუთნებით ხვნა ზიცობ ნიადაგებში.

ანეულის კარგი მოვლა უზრუნველყოფს უხვ მოსავალს. ჩვენ არ ვიშურებთ ძალებსა და საშუალებებს ანეულის დასამუშავებლად. ახლა ჩვენი კოლმეურნეობის მთელი სახნავი მიწის დაახლოებით 80 პროცენტი მოხნულია ღრმად უფრთო გუთნებით.

ნიადაგის დამუშავების ასეთი სისტემა მოითხოვს ახალი იარაღების შექმნას, ძველი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მექანიზმების კონსტრუქციის შეცვლას. ჩვენი დაკვეთებითა და წინადადებებით მრეწველობამ დაამზადა მოკვერცხლილი ფორმის უფრთო გუთნები დგარებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან ღრმად მოვხნათ, თათიანი ფარცხები, შეცვალა სათესავებისა და სხვა იარაღების კონსტრუქცია.

მეორე და შემდგომ წლებში ჩვენს კოლმეურნეობაში მინდვრებს კი არა ვხნავთ, არამედ მხოლოდ ვამუშავებთ დისკოიანი იარაღებით. ნიადაგს ასეთი დამუშავების შემდეგ ვტკეპნით რგოლიანი სატკეპნებით. სეზონის დამლევს წარმოებს დისკოიანი იარაღებით განმეორებითი დამუშავება გარდიგარდმო მიმართულებით. გაზაფხულზე მინდორი იფარცხება, თესვის შემდეგ კვლავ ხდება დისკოიანი იარაღით დამუშავება და დატკეპნა. ჩვენი ქვეყნის ცალკეულ ოლქებში, სადაც ზამთარში ცოტა ნალექია, შემოდგომის ნაცვლად საჭიროა მინდვრის დისკოიანი იარაღებით დამუშავება გაზაფხულზე. აუღებელი ნაწვერალი ხელს შეუწყობს თოვლის შეკავებას და ნიადაგში ტენის დაგროვებას.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობამ მოუხნავ ნაწვერალზე სხვადასხვა კულტურა დათესა დაახლოებით 5000 ჰექტარი. 1950 წელს ასეთ ნათესებზე ხორბალი მივიღეთ ჰექტარზე 20-40 ცენტნერი, ხოლო შემდგომ, ძალიან გვალვიან წლებში, — 12-22 ცენტნერი მარცვლეული. კარგი მოსავალია წელს, განსაკუთრებით იმ მიწებზე, რომლებიც უკვე სამი წელია არ მოხნულა.

სადგური დიდ მუშაობას ეწევა ადგილობრივ პირობებთან ყველაზე შეგუებული ჯიშების შერჩევისა და გაუმჯობესებისათვის. კოლმეურნეობის მინდვრებში გამოცდილია ორი ათასზე მეტი ჯიშის სხვადასხვა კულტურა.

სადგურის მიერ შემოღებული თესლბრუნვები საშუალებას აძლევენ კოლმეურნეობებს მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო გეგმები. შარშან 1950 წელთან — კლიმატური პირობების მხრივ ყველაზე ხელსაყრელ წელთან შედარებით მარცვლეულის საერთო მოსავალი 10 ათასი ცენტნერით გაიზარდა. გაიზარდა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. 1950 წელზე ვრთიერად მეტი გამოიყო მარცვლეული [illegible] ფონდებში, [illegible] სასურსათო [illegible] ველთაეული [illegible] მეურნეებს შრომადღეზე მიეცათ ხუთ-ხუთი, კილოგრამი ხორბალი, ერთისა-მად და უფრო მეტად გადიდდა ფულადი შემოსავალი, ერთიორად გაიზარდა არტელის განუყოფელი ფონდები.

ჩვენმა სადგურმა განახორციელა ნასვენი მიწების ათვისების პირველი ცდები ნიადაგის დამუშავების საკუთარი სქემის გამოყენებით. 20 წლის ნასვენის მასივის ერთი ნაწილი მოვხანეთ ჩვეულებრივი წესით, მეორეზე მოვახდინეთ მხოლოდ აოშავა დისკოიანი საოშებით. მთელ მასივზე ხორბალი დავთესეთ. პური კარგია ორივე ნაწილში. მოუხნავ ნაკვეთზე მცენარე უფრო სწრაფად ვითარდება, აქ მოსავალს უფრო ადრე ავიღებთ. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ მიწის მოხნულ ნაწილში უკვე მოხდა ორგანულ ნივთიერებათა მნიშვნელოვანი დაშლა; მოუხნავ ნაწილში ეს ნივთიერებანი უკეთ არის შენახული.

პირველი ცდა მოწმობს, რომ საჭიროა უაღრესად მოფიქრებული, გულმოდგინე მიდგომა ახალი მიწების დამუშავებისადმი, რათა შენარჩუნებულ და გადიდებულ იქნას მინდვრების ნაყოფიერება, გაუმჯობესდეს ტექნიკის გამოყენება შრომის ნაკლები დახარჯვით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა ამგვარი ცდები მოეწყოს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების სხვადასხვა რაიონში.

ჩვენი სადგურის მიერ შემუშავებული ნიადაგის დამუშავების სისტემა ჯერ დამთავრებული როდია. აგროტექნიკის ახალი ხერხები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, არ შეიძლება რეკომენდებულ იქნას უცვლელი სახით ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონისათვის.

თათბირზე მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატებმა ამხ. ნიკონოროვამ და ბახტინმა.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ ტ. ს. მალცევმა წარმატებით შეცვალა მრავალწლიანი ბალახების მოყვანისას მინდვრების მონაცვლეობისა და ნათესებალახიანი თესლბრუნვების სისტემა სრულიად ახალი სქემით.

თესლბრუნვაში ერთხელ ანეულის ღრმად ხვნა უფრთო გუთნებით ნიადაგის დამუშავების სისტემის ყველაზე რევოლუციური მომენტია, რომელიც კოლმეურნე ნოვატორმა განახორციელა.

დასასრულ ამხ. ნიკონოროვამ და ბახტინმა გააკეთეს საერთო დასკვნები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ნიადაგის დამუშავება იმ სისტემით, რომელიც ტ. ს. მალცევმა შეიმუშავა და წარმატებით ახორციელებს პრაქტიკაში, უაღრესად გულმოდგინე ყურადღების ღირსია და ფართოდ უნდა იქნას შესწავლილი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნიადაგის და კლიმატურ რაიონებში, განსაკუთრებით გვალვიან ზონებში.

თათბირი განაგრძობს მუშაობას.

# საცხოვრებელი სახლები ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით

მოსკოვში და საბჭოთა კავშირის მთელ რიგ დიდ ქალაქებში უკვე დიდი ხანია შემოღებულია საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით. შარშან მოწონავე მშენებელთა გამოცდილების გასაცნობად, ბინათმშენებლობაში ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდის გამოყენების შესასწავლად თბილისიდან მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და სხვა დიდ ქალაქებში მივლენებულ იქნენ ჩვენი დიდი სამშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი მალე დაბრუნდნენ, თან ჩამოიტანეს რუსეთისა და უკრაინის მოწინავე მშენებელთა მდიდარი გამოცდილება. მაგრამ ამ გამოცდილების გამოყენების მაგალითი, ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდის დანერგვის ნიმუში ჯერ არც ერთ სამშენებლო ორგანიზაციას არ მოუცია.

მხოლოდ წელს დიდი მზადებისა და წინასწარი ორგანიზაციული მუშაობის შემდეგ თბილისშენის ხელმძღვანელებმა შეძლეს ამ მეთოდის დანერგვა ხუთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე. ეს სახლები შენდება კომინტერნის ქუჩაზე (საბურთალო) ერთ წყებად.

ამ ნაკადურ-ჩქაროსნულ მშენებლობას, რომელიც, უნდა ითქვას, უნაკლოდ როდი მოწყობილი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ როგორც თბილისშენის ხელმძღვანელები, ისე საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო.

მოცემული დაპირების თანახმად ხუთივე სახლის აგება ჩქაროსანმა მშენებლებმა 20 დეკემბრისათვის უნდა დაამთავრონ. დათქმულ ვადამდე დიდი დრო აღარ დარჩენილა, სახლების სამშენებლო სამუშაოებიდან კი ნახევარიც არ აროის შესრულებული. ამ მშენებლობის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა, მიუხედავად ატეხილი ხმაურისა, ვერ მოახერხეს მშენებელთა მომარაგება მთელი რიგი საშენი მასალებით — ხე-ტყით, პემზაბეტონის ფუღურო ფილებით და სხვ.

მიუხედავად ასეთი შეფერხებებისა, საბურთალოელ ჩქაროსან მშენებელთა გამოცდილება ცხადად მოწმობს ნაკადურ-ჩქაროსნული მშენებლობის მეთოდის დიდ უპირატესობას მშენებლობის არა მარტო დაჩქარების, არამედ გაიაფების მხრივაც. მაგალითად, ივნისში, თუმცა ხელმძღვანელთა მოუქნელობის გამო საშენი მასალების მომარაგების დაბრკოლების მიზეზით გრაფიკი მუშაობა შეფერხდა, მშენებლებმა მაინც გაწყვეს 27.000 მანეთის ეკონომია. აღსანიშნავია მშენებელთა მიერ დანერგული ერთი სიახლეც, რაც ადიდებს მექანიზმების წარმადობას. ბეტონის დამზადებაში აქ გამოიყენეს ექსკავატორი, რომელსაც ჩვეულებრივ მიწის სამუშაოთა შესასრულებლად იყენებდნენ. ვინაიდან აქ მიწის სამუშაო უკვე დამთავრებულია, ექსკავატორს ახლა იყენებენ ბეტონსარევი მანქანის ბუნკერში ქვიშახრეშის ჩატვირთვაზე, რითაც მებეტონეთა ბრიგადიდან 8 კაცი გათავისუფლეს სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად.

თბილისშენის ხელმძღვანელებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ ეს მშენებლობა ისე მოაწყონ, როგორც საჭიროა. მაგრამ მათი მთავარი ამოცანა ის როდია, რომ მარტო ეს ხუთი სახლი აგონ. წელს თბილისშენმა ქალაქის საბინაო ფონდს მრავალი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი უნდა შესძინოს, მრავალი ათი საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლი უნდა აგოს. ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით მუშაობა ყველა სამშენებლო ობიექტზე უნდა დაინერგოს, არ უნდა დაეშვათ ნიმუშის ჩვენების მიზნით ერთი მშენებლობის წარმატებისათვის სხვა მშენებლობებისადმი ყურადღების შენელება. თბილისშენის ხელმძღვანელები და მათთან ერთად საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო პასუხისმგებელნი არიან წელს 60-ზე მეტი ობიექტის მშენებლობისათვის, რაც მათ არ უნდა დაივიწყონ.

**სურათებზე:** ექსკავატორის გამოყენება ბეტონსარევის ბუნკერში ხრეშის ჩატვირთვაზე; კედლის მწყობელი რ. მელაძე, რომელიც 130 პროცენტით ასრულებს ავურის წყობის გეგმას; პემზაბეტონის ფუღურო ბლოკების მექანიზებული ტრანსპორტირება სართულთაშორისი გადახურვისთვის.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

# გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება—ყველა კოლმეურნეობას, მგს-სა და საბჭოთა მეურნეობებს

★ ★ ★ ★

## დაუვიწყარი დღეები

პირველი აგვისტო ზეიმის დღე იყო. ჩვენი ქვეყნის გულში — მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. თვალუწვდენელი დიადი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოსკოვი ყოველდღე ათასობით ახალ ძვირფას სტუმრებს იღებს.

ჩვენც სხვებთან ერთად წილად გვხვდა უდიდესი პედნიერება ჩვენი თვალით გვენახა იმ ისტორიულ გამარჯვებათა მთელი სიდიადე, რომლებიც მოპოვებულია საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში. გამოფენაზე გაეცანით სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის ოსტატებს.

გამოფენაზე მიღებული გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას როგორც მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდების, ისე საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. მაგალითად, ჩვენს კოლმეურნეობაში წელს ჰექტარზე საშუალოდ 17 ცენტნერი ხორბალი მოვიყვანეთ, ხოლო ყუბანში კორენოვკის რაიონი ყოველ ჰექტარზე იღებს 21,8 ცენტნერ მარცვლეულს. ასეთი მაგალითები გამოფენაზე ბევრია.

ჩვენ გავიგეთ, რომ „ნოვოუკრაინკას“ ჯიშის ხორბალი ჰექტარზე 25-29 ცენტნერ მოსავალს იძლევა. ამავე დროს იგი ნაკლებად ცვენადია. ამიერიდან ჩვენს კოლმეურნეობაში „ნოვოუკრაინკას“ ჯიშის ხორბალს დავთესავთ. გარდა ამისა, თესვას ვაწარმოებთ ვიწრო მწკრივებად.

გამოფენაზე ჩვენ ვნახეთ შესანიშნავი მიღწევები მეცხოველეობაში. ჩვენთან სეზონში საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე ძლივს ვიღებთ 400-700 ლიტრ რძეს. გამოფენაზე კი ჩემი თვალით ვნახე, რომ ომსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „რომკინი“, რომელსაც 500 ძროხა ჰყავს, თვითეული ძროხა წელიწადში იწველის 5.485 კილოგრამ რძეს. იქ ამას მაღწევენ პირუტყვის კვებისა და მოვლა-შენახვის გაუმჯობესებით. განა ჩვენს კოლმეურნეობაში არ არის შესაძლებელი, რომ გაორკეცდეს და გასამკეცდეს რძის წარმოება?

გამოცდილების შესწავლა საქმის მხოლოდ ნაწილია. პირობას ვიძლევი, რომ ნამდვილად მოვკიდებთ ხელს მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების ფართოდ დანერგვას წარმოებაში.

**ვ. ოსოფოვი,**

**გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.**

## დღეს საქართველოს პავილიონში

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ყველა გზა გამოფენისაკენ მიდისო, — ამბობენ მოსკოველები. მართლაც ასეა. სათვალავი არა აქვს ხალხით გაჭედილ ტრამვაიებს, ტროლეიბუსებს, ავტობუსებს, ტაქსებს, კომფორტაბელურ ავტომანქანებს. ათეულ ათასობით ადამიანი მიეშურება გამოფენის დასათვალიერებლად. მოდიან მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, უკრაინიდან და ბელორუსიიდან, აზიიდან და თურქმენეთიდან, შორეული ციმბირიდან და ვოლგისპირეთიდან, საქართველოდან და ყირიმიდან, ბოლარეთიდან, სომხეთიდან და იმიერკარპატიდან, მოდიან ბულგარელები და ჩინელები, უნგრელები და კორეელები, რუმინელები და გერმანელები... რამდენ ენას არ მოისმენთ, რა ეროვნების ადამიანს არ ნახავთ ამ დღეებში გამოფენის ტერიტორიაზე.

საქართველოს პავილიონი... ყოველდღიურად როგორც სხვა პავილიონებში, ისე აქაც უამრავი ხალხია.

პავილიონის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საგამოფენო დარბაზები გაფორმებულია სადად, გემოვნებით. თავიანთი ნიჭი და უნარი არ დაუშურებიათ მხატვრებს — სტალინური პრემიის ლაურეატს ლ. მამალაძეს, ე. მაჟავარიანს, ნ. ჟუკოვს, რ. ბალიკაკს. დიდი შრომა დაუხარჯავთ სხვა მუშაკებსაც.

ცენტრალურ დარბაზში დამთვალიერებლები დიდი ინტერესით კითხულობენ გენიალური ვ. ი. ლენინის მიერ ს. ორჯონიკიძისადმი 1921 წლის 2 მარტს გაგზავნილი დეპეშის ტექსტს: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“. იქვეა ლენინის უკვდავი საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის პორტრეტი.

მივყვებით დამთვალიერებელთა ერთ ჯგუფს. აქ არიან სოციალისტური შრომის გმირები გროზნოს ოლქის ყიზლარის რაიონიდან ანდრია ბაკატიევი, არტემ კოჩუბეკოვი, კირაკოზ მირზოიანი და რუბენ ბეგეროვი. ისინი მევენახეები არიან, და ამიტომ ყველაზე მეტად თავიანთი ქართველი კოლეგების მუშაობა აინტერესებთ.

ექსკურსიამძღოლი თამარ წერეთელი სტუმრებს საინტერესოდ უამბობს ჩვენი რესპუბლიკის მეღვინეთა გამოცდილებაზე, მათი შემოქმედებითი შრომის ნაყოფზე:

— საქართველოში ძველთაგანვე უყვარდათ ვაზის კულტურა, — ამბობს იგი. — მაგრამ მას ასეთი ფართო გასაქანი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიეცა. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ღირსეული მონაწილენი არიან გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, რომლებმაც გასულ წელს თვითეულ ჰექტარზე 122,6 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. დიდი წარმატება აქვთ ზესტაფონის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას, წინანდლის საბჭოთა მეურნეობას და სხვებს...

დიდხანს იდგა მეთამბაქოეთა შრომის ამსახველ ექსპონატებთან ყირგიზეთის რესპუბლიკის კიროვის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი დიმიტრი გრებენშნიკოვი.

— გაგებული მაქვს, საქართველოში თამბაქოს მოყვანის საუკეთესო ოსტატები არიანო. სწავლა სიბერემდეო, და აი მეც მოვედი, — თქვა მან და მეთოდისტს მიუბრუნდა:

— აბა, გეთაყვათ, მიამბეთ, როგორ მიიღეს თამბაქოს სარეკორდო მოსავალი ლაგოდეხისა და გულრიფშის რაონების კოლმეურნეებმა...

დარბაზში მადალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი შემოვიდა, რომელსაც მკერდზე ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა და მბისაგან გაშავებულ სახეზე ცნობისმოყვარეობა ეტყობოდა:

— აზერბაიჯანიდან ვარ, იუსუფ იუსუფოვი, მევენახე.

იუსუფოვი ინტერესით გაეცნო მოძმე ქართველების წარმატებას, და თავისი აღტაცება რომ გამოეხატა, ხელები გაშალა და მშობლიურ ენაზე წარმოთქვა:

— იახში! ნამდვილად კარგია! მხოლოდ არც ჩვენ ვართ ნაკლები ბიჭები...

ადამიანთა ნაკადი არ წყდება. განსაკუთრებით ბევრი ხალხია იქ, სადაც ახალი მოსავლის პამიდორი, კიტრი, ვაშლი, მსხალი და სხვა სახის ხილეულია გამოფენილი. შორეული ჩრდილოეთიდან მოსული ადამიანები გაკვირვებით უცქერიან თხუთმეტ კილოგრამიან საზამთროებს, ქარვისფერ ნესვებს, რომლებიც შესანიშნავ არომატს აფრქვევენ. ხანდახან სიცილის მომგვრელი ამბავიც ხდება. დამთვალიერებელთა ერთმა ჯგუფმა დაბეჯითებით განაცხადა:

— არ გვჯერა, რომ ეს საზამთროები ნამდვილია. დაგვარწმუნეთ, ბუტაფორიაა თუ ნამდვილი...

— როგორ დაგარწმუნოთ?—მორცხვად შეეკითხა ექსკურსიამძღოლი გ. კოკაია...

— გავჭრათ, — იყო პასუხი.

რაღა იქნებოდა, მასპინძლებმა საზამთრო აიღეს და გაჭრეს.

ექსკურსანტები ყურადღებით უცქერიან ოსტატურად გაფორმებულ დიორამებს. აი საქართველოს დედაქალაქი თბილისი. დიორამა ისეა გაკეთებული, რომ გგონიათ ქალაქს მართლაც ფუნიკულორის სიმაღლიდან დასცქერით. აგერ საქართველოს რელიეფური რუკა, სამგორის სარწყავი სისტემისა და კოლხიდის დაბლობის რუკა-სქემა.

იმ ადგილას, სადაც მეცხოველეობაა წარმოდგენილი, ყურადღებას იპყრობს ქართველი სელექციონერებისა—ა. ნატროშვილისა და ი. ბაძოშვილის საინტერესო მუშაობის ამსახველი ექსპონატები. თითქოს კავკასიონის მწვერვალებზე დგასო, ისე ამაყად იცქირება ქართული ცხვრის წარმომადგენლის — უზარმაზარი ყოჩის ფიტული. აქ არის ზემო ალვანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგის გ. იდიძისა და ბრიგადირ ა. ითიურიძის პორტრეტები. ეს ადამიანები გამოფენაზე სასახელო მაჩვენებლებით წარსდგნენ. შარშან ფერმამ 14 ათასი დედაცხვრის თვითეულ ასულ ცხვარზე ასლეტამდე 95 ბატკანი შეინარჩუნა, ბრიგადირმა ითიურიძემ ყოველ ას ცხვარზე ასლეტამდე 106 ბატკანი გამოზარდა. აქვეა წარმოდგენილი ქართული გუდის და შვეიცარული ყველი, სულგუნი, მატყლის ნიმუშები, ერბო-კარაქი. გამოფენის ამ ნაწილთან დიდხანს იდგნენ სტავროპოლელი, დაღისტანელი და კრასნოდარელი მეცხვარეები, აქ იყვნენ სოციალისტური შრომის გმირი შადკან ტაჯინბეკოვი ყირგიზეთიდან, ნიუ ქვანსენი და პაკ ტედინი უზბეკეთიდან.

ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ს — ვკითხულობთ სტენდზე. მექანიზატორთა ამ შესანიშნავ კოლექტივს იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც, აქ არის მათი შრომის ამსახველი ციფრები.

პავილიონში სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა სასიხარულო შეხვედრის მოწმენი გავხდით. ჯერ კიდევ დილით თავის კოლმეურნეებთან ერთად მოვიდა ამხ. პუზანჩიკოვი. ექსპონატების დათვალიერების შემდეგ მან პავილიონის დირექტორს ამხ. გ. ქადაგიძეს ჰკითხა — როდის ჩამოვლენ მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლები.

— თქვენ გინდათ მათ პირადად შეხვდეთ? — შეეკითხა ქადაგიძე.

— მახარაძელებთან ჩვენ გულითადი მეგობრობა გვაკავშირებს. ესეც რომ არ იყოს, გვინდა გავიგოთ, როგორ ასრულებენ ისინი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, — უპასუხა ამხ. პუზანჩიკოვმა.

დარეკეს უკრაინის პავილიონიდან — აინტერესებთ, როდის იქნებიან გამოფენაზე მახარაძის რაიონის სოფელ შროშის და ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობათა წარმომადგენლები.

სომხეთის პავილიონიდან საგანგებოდ მოვიდა კაცი — ჰოქტემბერიანის რაიონიდან უკვე ჩამოვიდნენ და შეგვატყობინეთ როდის შეიძლება ნატანებელ მეგობრებს შევხვდეთო.

პავილიონს უკვე ეწვიენ ბულგარეთის, ისრაელის და რუმინეთის დელეგაციები.

ადამიანური სიხარულის მომგვრელი იყო ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, მილიონერი ბრიგადის ბრიგადირის თამარ ყუფუნიას შეხვედრა რუმინელ ქალებთან. ტანმაღალმა ქართველმა ქალმა გულში ჩაიკრა რუმინეთის ქალთა დემოკრატიული კომიტეტის თავმჯდომარე, სახლომიანი სახის სტელა ენესკუ, იქვე იყვნენ რუმინელი მწერალი ქალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლუჩია დემეტრიუსი და ცნობილი ფეიქარი ანტუანეტა ალექსოვიჩი.

მოსიყვარულე ქალებს თარჯიმანი არ დასჭირდათ, რადგან სიხარულის გრძნობა ისეც ყველასათვის გასაგებია. ამასთან თამარი და სტუმრებიც რუსულად არც თუ ისე ცუდად ლაპარაკობენ. ძველი მეგობრებივით მოიკითხეს ქალებმა ერთმანეთი, შემდეგ ყუფუნიამ სტუმრებს ხელი გადახვია და პლანტაციისაკენ გაუძღვა. აქ თამარმა სახელოები დაიკაპიწა და ქალებს ჩაის კრეფის საკუთარი მეთოდი უჩვენა.

აღტაცებულმა სტელა ენესკუმ თქვა:

— კარგია მშვიდობიანი შრომა. აი ჩემი მეგობარი ლუჩია ახალი რომანისათვის მასალებს ამზადებს. წიგნში ასახული იქნება ჩვენი და საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობა, თქვენი ნახვა მწერლისათვის დიდი მოვლენაა...

— ოლონდაც, — თქვა ლუჩია დემეტრიუსმა, — თამართან შეხვედრა ჩემი მომავალი წიგნის ერთი ძვირფასი ფურცელი იქნება.

— მობრძანდით ზუგდიდში გაგიმასპინძლდებით, პლანტაციებს გაჩვენებთ, — უთხრა თამარმა გამომშვიდობებისას.

— თქვენ კიდევ რუმინეთში გვეწვიეთ, — თქვეს სტუმრებმა.

საღამოვდება, მაგრამ პავილიონში ადამიანები კვლავ განუწყვეტელ ნაკადად შემოდიან.

შთაბეჭდილებათა წიგნში პირველი ჩანაწერები გაჩნდა. აქ არის რუსულ, უკრაინულ, ჩინურ და სხვა ენებზე დაწერილი მადლობის სიტყვები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავთ წინ — კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ, აქ არის მადლობის სიტყვები ქართველი ხალხისადმი, რომელიც სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ასეთი წარმატებით წარსდგა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

## რა ვნახეთ გამოფენაზე

ბევრჯერ ვყოფილვარ მოსკოვში, მაგრამ იმან, რაც იქ ახლა ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა — ეს არის ჩვენი დიადი ეპოქის შესატყვისი გრანდიოზული ქმნილება, ქალაქი-ბაღი, რომელიც ძნახველს ხიბლავს თავისი სილამაზით.

სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკების პავილიონებიდან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა უკრაინის სსრ პავილიონმა, რომელიც ნამდვილი ეროვნული სტილით არის ნაშენი.

დიდი წარმატება აქვს საქართველოს სსრ პავილიონს.

არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამაც, რომელსაც მრავალი წელია ვხელმძღვანელობ, თავისი სიტყვა თქვა გამოფენაზე. საქართველოს სსრ პავილიონის ერთ-ერთ კუთხეში ნაჩვენებია ჩვენი მიღწევები მარცვლეული მეურნეობის — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ საფუძვლის — დარგში. აქვეა მასალები კოლმეურნეობის შემოსავალზე, განუყოფელი ფონდების ზრდაზე.

იმ დიდი გამოცდილების საფუძველზე, რაც მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შევიძინეთ, გადავწყვიტეთ უახლოეს ორ-სამ წელიწადში ვენახების ფართობი 40 ჰექტარიდან 100 ჰექტარამდე ავიყვანოთ. გამოფენაზე ვნახეთ ისეთი ძროხები, რომლებიც დღეში 30-40 ლიტრ რძეს იძლევიან. ეს ჩვენთვის მაგალითი გახდება, რადგან არხილოსკალოს კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ჯერჯერობით ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს. მეცხოველეობის აღმავლობის მიზნით ვაშენებთ კარგ ბინებს. განვახორციელებთ მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, კიდევ უფრო განვამტკიცებთ საკვებ ბაზას.

მოსკოვში გამოფენაზე შეეხვდით ჩვენი დიადი ქვეყნის მრავალი ერის წარმომადგენლებს — რუსებს, უკრაინელებს, ლიტველებს, ლატვიელებს, მოლდაველებს... ამან უფრო განამტკიცა ჩვენი მეგობრობა, დაგვაახლოვა ერთმანეთთან.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენს წინაშე დგას ახალი საბრძოლო ამოცანა: გამოფენაზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება ჩვენი კოლმეურნეობის ყველა წევრის კუთვნილება გავხადოთ.

**ი. ქავთარაძე,**

**წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.**

*სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე*

# უკრაინის სსრ პავილიონი

უკრაინის სსრ პავილიონის ლამაზი შენობის გარეგნობა ასახავს უკრაინულ ხალხურ სახვითს შემოქმედებას, რომელსაც სჩვევია შტქის კონტრასტები, თბილი და მკაფიო ტონები. ლავგარდანები, ფანჯრის რაფები და მსხვილი კერამიკული ბლოკებიც კი, რომლებისგანაც დამონტაჟებულია კედლები, მორთულია ჩუქურთმით, ნახატებით, რელიეფური სკულპტურული ჩანასმებით სასოფლო-სამეურნეო თემებზე. თვითეული დეტალით გამოხატულია შენობის ძირითადი დანიშნულება.

არქიტექტურულ გაფორმებაში ყოველმხრივ და ნაირფერად გამოყენებულია სმალტა — ძველი დეკორაციული მასალა, რომელსაც ჯერ კიდევ კიევის რუსეთში იყენებდნენ, და უკრაინაში დიდი ხნის წინათ არსებული კერამიკა. სმალტით (მინისა და ოქროს თხელი ფირფიტების შენადნობი) მოპირკეთებულია შენობის კუთხეებში აღმართული ოთხი ქალიშვილის ფიგურები გვირგვინებით, რომლებიც სიმბოლიურად გამოხატავენ შრომის დიდებას. სმალტისგანვე შენობის ფრონტონზე ხელოვნურად გაკეთებულია დროშებშემოვლებული გერბი რესპუბლიკისა და ძნა, რომელიც პავილიონს მაღლა აღმართული შპილით აგვირგვინებს.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში უკრაინის სსრ პავილიონის დირექტორმა გ. ფ. გომონმა განაცხადა:

— ჩვენი პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი პავილიონია. მისი მოცულობაა 26 ათასი კუბური მეტრი, ხოლო საერთო ფართობი — 1,6 ათასი კვადრატული მეტრი.

მთავარი შესავალის თავზე არის ვიტრაჟი, რომელიც გამოხატავს რუსეთთან უკრაინის შეერთების ისტორიული აქტის ერთ-ერთ მომენტს — პერეიასლავის რადას. ხალხთა დიადი მეგობრობის თემას მიეძღვნა შესავალი დარბაზის ექსპოზიციაც. დამთვალიერებელთა ყურადღებას აქ იპყრობს ერთი „ექსპონატი“ — 600 კვადრატული მეტრი ფართობის გიგანტური ფერწერითი პანო-პანორამა, რომელიც შესრულებულია ტემპერით გუმბათისებრი დარბაზის მთელ კედელზე. უკრაინის პეიზაჟის ფონზე მისი თვალუწვდენი მინდვრებით, ბაღებით, ვენახებითა და ტექნიკური კულტურების პლანტაციებით, მისი მძლავრი ინდუსტრიით — ჰიდროსადგურებით, ბრძმედებით, შახტებით, მაღალოლტიანი გადამცემი ხაზებით — გამოსახულია რესპუბლიკის წარჩინებულ ადამიანთა ჯგუფი — მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშრომელი ინტელიგენციის მოწინავეები, რომლებიც პურ-მარილით ხვდებიან დიდი რუსი ხალხისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებს. ერთიანობისა და ძლიერების პოთეოზი, რომელიც მკაფიოდ გამოხატულია პანო-პანორამით, სამშობლოსადმი სიამაყისა და სიყვარულის გრძნობას იწვევს.

მარმარილოს ზეძირკველზე კერამიკულ ჭურჭელსა და ბროლის ვაზებში, რომლებიც დარბაზის გარშემო ჩამწკრივებულა, ნატურალური ექსპონატებია. რამდენიმე პატარა სტენდი ლაკონიური ტექსტითა და ციფრებით გვაცნობს უკრაინის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების დინამიკას.

უკრაინაში არის 16.403 გამსხვილებული კოლმეურნეობა, 1.396 მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგური. მინდვრებში მუშაობს 187 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), ანუ 69 პროცენტით მეტი, ვიდრე ომამდე, 51 ათასი მარცვლეულის კომბაინი და ათეულ ათასობით სხვა რთული მანქანა. აღდგენილი და ახლად აგებულია 4 ათასი სასოფლო ჰიდრო და თბოელექტროსადგური. მათი სიმძლავრე 9-ჯერ აღემატება 1940 წლის დონეს.

უკვე 1952 წელს რესპუბლიკის მსხვილმა მრეწველობამ 17-ჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე რევოლუციამდელი უკრაინის მრეწველობამ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკრაინა გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, დიდი საბჭოთა კავშირის განუყოფელ ნაწილად.

მემცენარეობის დარბაზის ღერძზე დგას ცენტრალური დანადგარი, მასზე ბრინჯაოს სარტყლებით დამაგრებულია 24 ძნა. ძნები მორთულობა რომელია, თვითეულ ძნაზეა ეტიკეტი ჯიშის აღწერით. აქ შეგროვებულია უხვმოსავლიანი ჯიშების საშემოდგომო ხორბალი, რომელიც გამოყვანილია უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების სასელექციო საადგურების მიერ.

ცენტრალური დანადგარი, რომელიც გაფორმებულია ხორბლის ყანის სახით ძნებისაგან, რომელთა შორის არის რვა დიორამა, განსაზღვრავს უკრაინის სოფლის მეურნეობის მთავარ წამყვან მიმართულებას.

საბჭოთა უკრაინა ჩვენს ქვეყანაში საშემოდგომო ხორბლის წარმოების ძირითადი რაიონია. სარეკორდო მოსავალს მიაღწიეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და ბრიგადებმა. მაგალითად, ხარკოვის ოლქის ლოზოვაის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 1.200 ჰექტარი საერთო ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 38 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, ხოლო ბაშტანკის რაიონის კოლმეურნეობის „პუტ კ კომუნიზმუს“ ერთ-ერთ ბრიგადაში 100 ჰექტარი საერთო ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 42 ცენტნერი ხორბალი, თითქმის ორჯერ მეტი დაწესებულ ნორმებზე, რომლებიც გამოფენაში მონაწილეობის უფლებას იძლევა.

მდიდარი გამოცდილება, რომელიც ყოველგვარი წახალისებისა და გავრცელების ღირსია, შეიძინეს პავილიონის ექსპონენტებმა. იქ მთლიანად წარმოდგენილია ზაპოროჟიეს ოლქის ოსიპენკოს რაიონი, რომელმაც 28 ათასი ჰექტარი საერთო ფართობის თვითეულ ჰექტარზე 1952-1953 წლებში საშუალოდ 20 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი მიიღო. ბევრი რამის გადმოღება შეიძლება ნიკოლაევის ოლქის პრიგოროდნოეს რაიონის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „კრასნაია ბაშტანკის“ კოლექტივისაგან, რომელმაც უკანასკნელ ორ წელიწადში დიდ ფართობებზე საშუალოდ ჰექტარზე 23,8 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი მიიღო.

მემცენარეობის დარბაზში თვალსაჩინო ადგილი (სამი სტენდი) უკავია ოდესის ოლქის ბერიოზოვკის რაიონის ბუდიონის სახელობის მრავალდარგოვან კოლმეურნეობას, რომელსაც აგერ უკვე 30 წელიწადია უცვლელად ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი მ. პოსმიტნი. სტენდებზე ნაჩვენებია კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება, კოლმეურნეთა შეძლებულობისა და კულტურის ზრდა. პანოების, ფოტოსურათების, დიორამების ქვეშ მოკლე და მეტყველი ტექსტებია. 15 წლის მანძილზე მარცვლეული კულტურების მოსავალი კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ 20-27 ცენტნერს შეადგენს. უკანასკნელ სამ წელიწადში პირუტყვის სულადობა გადიდდა ერთისამად, ხოლო მისი პროდუქტიულობა — ერთნახევარჯერ. მარტო შარშან კოლმეურნეობამ 7 მილიონ 766 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო.

მემცენარეობის დარბაზში ფართოდ ნაჩვენებია მეჭარხლეთა მიღწევანი. უკრაინა საბჭოთა კავშირში შაქრის ჭარხლის თესვის ერთ-ერთი ძირითადი ბაზაა. განსაკუთრებული სტენდი მოგვითხრობს რესპუბლიკის საუკეთესო ჭარხალმთესველ მეურნეობაზე — ხმელნიცკის ოლქის ჩემეროვეცის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაზე. შარშან 3 მილიონ 638 ათას მანეთ საერთო შემოსავალში შაქრის ჭარხლის შემოსავალი 1 მილიონ 338 ათას მანეთს შეადგენდა.

შაქრის ჭარხლის სტენდებზე დამთვალიერებელი გაეცნობა აგრეთვე კიევის ოლქის გრებენკის რაიონის მიტნიცის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობას, სანმუშო მეთესლეობის მეურნეობას, ვინიცის ოლქის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას და სხვებს.

ეთერ-ზეთოვანი კულტურების პლანტაციებით განთქმულია ყირიმის ოლქის ზუის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კრასნაია როზა“. საბჭოთა მეურნეობის მუშაობის მოწინავე მეთოდზე მოგვითხრობს ორიგინალურად გაფორმებული სტენდი. მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს სომინდის უხვი მოსავლის ცნობილი ოსტატის მ. ოზერნოისა და საბოჭკოე სელის უხვი მოსავლის ოსტატების ე. საუხის, ო. ზაიკას და რესპუბლიკის მემცენარეობის სხვა მოწინავეთა მუშაობის მეთოდების ჩვენება.

დარბაზის სამი სტენდი მიეძღვნა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს. დამთვალიერებლებს სურათებით, ფოტოდოკუმენტებით და ციფრებით თვალწინ შარმოუდგება მეცნიერთა ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობა პრაქტიკის აღამიანებთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა სულ უფრო მეტი დანერგვა. პავილიონში ფართოდ იქნება ნაჩვენები, თუ როგორ ებრძვიან მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის. სტენდები მორთულია ცხოველთა სკულპტურებით, ამასთან ისინი უსახელონი როდი არიან, აი, მაგალითად, სამი სკულპტურა. სკულპტურებით გამოხატულია ძროხა „ზორკას“ — ლებედინის ჯიშის ერთ-ერთი საუკეთესო ეგზემპლარის შთამომავლობა. „ზორკა“ გამოყვანილია უკრაინაში. ქანდაკებებით აღბეჭდილია მამა, დედა და ქალიშვილი. სუმის ოლქის ლებედინის რაინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში ძროხა „ზორკამ“ ლაქტაციის პერიოდში მოიწველა 10.203 კილოგრამი რძე. სოციალისტური შრომის გმირმა მწველავმა მ. სავჩენკომ მისთვის მიჩენილ ლებედინის ჯიშის რვა ძროხისაგან თვითეულზე მიიღო 7.129 კილოგრამი რძე. იქვე არის სხვა სტენდები, სადაც შეიძლება გაეცნოთ მოწინავე მეცხოველეობის მეურნეობათა საქმიანობას, ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციასა და ელექტროფიკაციას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკრაინელმა ხალხმა მიაღწია ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის დიდ აღმავლობას. კულტურის, ხელოვნების აყვავება, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა თვალსაჩინოდ და ლამაზად არის ნაჩვენები პავილიონის ერთ-ერთ დარბაზში.

რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობამ თავისი თავდადებული შრომით საშემოდგომო ხორბლის, შაქრის ჭარხლისა და სხვა უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმაგალითო მოსავალს მიაღწია.

მკაფიოდ და თვალსაჩინოდ წარმოადგინოს უკრაინელი ხალხის უდიდესი წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, რომლებიც მომოვიზეულია კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, — ასეთია უკრაინის სსრ პავილიონის კოლექტივის საპატიო ამოცანა.



სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. უკრაინის სსრ პავილიონი. ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# ლაჯანურჰესის მშენებლობაზე

დღეს მუშაობა ლაჯანურჰესის მშენებლობაზე...

იმ გზატკეცილის გაყოლებით, რომელიც რიონის ხეობაში მიიკლაკნება, მიწაყრილები აღმართულა, ფერდჩამოთლილი კლდეების ნამსხვრევი ლოდები ყრია. ბულდოზერისა და გზისსატკეპნი მანქანის მოტორთა გუგუნს სადღაც შორს იმეორებენ მთები. ნახევრად არის ამოყვანილი გზის საყრდენი ბეტონის კედლები. მაღალი ძაბვის ხაზის ანძები ზოგან მთის კორწოხზე გასულან, ზოგან მდინარის პირად ჩამოქვეითებულან. გზის მახლობლად აღუმართავთ ამ მიდამოებისათვის აქამდე უჩვეო სტილის ახალი საცხოვრებელი სახლები. დაუსრულებლად დაჰჭრიან მანქანათა ქარავნები...

ეს არის ნიშნები, რომლებიც მთავარი სამშენებლო ობიექტებიდან რამდენიმე კილომეტრით აღრევე აგრძნობინებს ადამიანს დიდი მშენებლობის მაჯისცემას.

აქედან მოკიდებული ცაგერამდეა გაჭიმული საქართველოს ყველაზე დიდი ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის — ლაჯანურჰესის ობიექტების მშენებლობა.

დღითიდღე ფართოვდება სამუშაოთა ფრონტი, იზრდება ტემპი.

მშენებლობის პანორამისათვის თვალის ერთი გადავლებით გრძნობს ადამიანი გაჩაღებული მუშაობის სიდიადეს, მის სილამაზეს, ხედავს მთათა და ტყეთა სამყაროში შემოჭრილი ინდუსტრიული მშენებლობის სურათს.

მაგრამ ეს მშენებლობის მთელი სურათი როდია, ეს მისი მხოლოდ ერთი ნაწილია, ეს ის არის, რასაც მარტო თვალი სწვდება. მთავარი სამუშაოები კი მიწისქვეშ, მთების გულში წარმოებს, სწორედ იქ წყდება მშენებლობის ბედიც.

ალაგ-ალაგ, მთების ძირში თეთრი კლდის ფონზე შორიდან ურმისთვლისოდენა მოჩრდილული ადგილები ჩანს, ან ისეთი, როგორიც მრავლად გვხვდება საქართველოში უძველეს გამოქვაბულთა ადგილს. ეს მორდილული ადგილები სანგრევებში შესასვლელებია. მეტროსავით ფართო, მაღალი და სუფთაა გვირაბების გამზადებული ნაწილი, ციმციმებენ ელნათურები, ტყვიამფრქვევის ჯერივით ისმის პერფორატორული ბურღის ხმაური. ამუშავებენ ფეხებს, თვითსატვირთავი მანქანები შეუსვენებელ ორომტრიალში არიან, საშახტო ელექტრომავლებით გვირაბებიდან განუწყვეტლივ გამოაქვთ ქანი. უკვე კარგა მანძილზე წავიდნენ წინ გვირაბმშენებელი მნგრეველები. მათ კვალდაკვალ მისდევენ მებიგეები, მებეტონეები...

უკანასკნელი დღეები ახალი ეტაპის დაწყებით აღინიშნა გვირაბების იმ უბანზე, სადაც უფროსად ინჟინერი ვ. კასრაძეა. მიწისქვეშა მომუშავეებმა გვირაბის საპროექტო ზომამდე გაფართოებასთან ერთად გვირაბის მომავალი ტრასის მიმართულებით ზევიდან დაიწყეს ვერტიკალური შახტის გაყვანა. საამისოდ დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაჩაღდა, გაიყვანეს შახტთან მისასვლელი გზა, აიტანეს კომპრესორი, ამწე და სხვა მექანიზმები, იარაღები. უკვე შეუდგნენ საშახტე ჰაერის ამოღებას. შახტის წარმატებით დამთავრება გვირაბგამომყვანთა წინაშე სამუშაო ფრონტის შემდგომი გაფართოების დიდ პერსპექტივას შლის. ახლა გვირაბს მხოლოდ ერთი სანგრევიდან მისდევენ, სხვა შესაძლებლობა არ არის. ვერტიკალური შახტი კი საშუალებას მისცემთ ომუშაონ სამი მხრიდან, განაგრძონ წინსვლა, როგორც მიდიოდნენ, ამავე დროს დაიწყონ სამუშაოები ახალი შახტიდან ორივე მიმართულებით, წინ და უკან. ასეთ პირობებში გაცილებით სწრაფი იქნება გაყვანის ტემპი, დაჩქარდება გვირაბის მშენებლობა.

წარმატებით მიმდინარეობს გვირაბების გაყვანა იმ უბნებზეც, რომლებსაც ინჟინრები მ. ვახრუშჩევი და ი. ცენტერაძე ხელმძღვანელობენ. ერთ-ერთ უბანზე სავენტილაციო გვირაბის გაყვანასაც შეუდგნენ. უკანასკნელ დროს განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ვახრუშჩევის უბანზე, სადაც ნახევარი წლის დავალება 194 პროცენტით იქნა განაღდებული.

ლაჯანურჰესის მშენებლობაზე მოელიან გვირაბგასაყვან ფარებს. მათ გაბოიყენებენ ძძიმე, შრომატევად სამუშაოებზე. ფარებით მუშაობა საგრძნობლად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, მნიშვნელოვანი რაოდენობით გაათავისუფლებს მუშახელს.

გარდა მიწისქვეშა სამუშაოებისა, მშენებლობის ორბელის, ალპანისა და ცაგერის უბნებზე მრავალი სახის სხვა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს.

ორბელის უბანზე მდინარის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ზღუდარში მრავალი ასი კუბმეტრი ბეტონია ჩაწყობილი, ჯებირებზე დაყრილია 400 კუბმეტრი ყამირი. ახლა გაჰყავთ ტექნიკური წყალსადენი, გრძელდება მუშაობა მშენებლობის ცენტრალური დასახლების კეთილმოწყობისათვის. უკვე დაამთავრეს კლუბის კაპიტალური შენობის მეორე სართულის კედლების ამოყვანა. მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული ახალ კლუბში იზეიმონ. დამთავრდა პურსაცხობის მშენებლობა, გრძელდება ბოსტნეულის საწყობის აგება.

საკომპრესოროს აგებენ ალპანის უბანზე (სამმართველოს უფროსი ვ. ვარაზაშვილი). გარდა ამისა, აქ საძირკველი ჩაუყარეს ჰბანო-სამრეცხაოს, დაამონტაჟეს ხიდების ფერმები, თავდება რამდენიმე საცხოვრებელი სახლის შიგნითა მოპირკეთება, გრძელდება სამთო-სამრეწველო სკოლის შენობის კედლების ამოყვანა.

ცაგერის უბნის სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო აშენებს სარემონტო-მექანიკურ სახელოსნოს, საცხოვრებელ სახლებსა და სხვა ობიექტებს.

მონდომებითა და თავდადებით შრომობს მშენებელთა მთელი კოლექტივი. დღითიდღე ამრავლებენ შრომითს წარმატებებს მოწინავე მუშები, ბრიგადები, ცვლები, საამქროები, სამმართველოები. მშენებლები სულ უფრო ფართოდ ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ქანსატვირთავი მანქანის მემანქანე ს. ფირცხალავა, გვირაბმშენებელთა ის ბრიგადები, რომლებსაც დ. ოთარაშვილი, ძმები დიმიტრი და ივანე სერდობინცევები და გ. გოლუთიანი ხელმძღვანელობენ, ხუროები, რომლებსაც გ. ჩაჩხიანი ხელმძღვანელობს, აგრეთვე ავტომძღოლი შ. ბაკურაძე, მეიარაღე ა. ზაიარნი და მრავალი სხვა.

რამდენიმე დღის წინათ მშენებლობაზე კომკავშირული საგზურებით ჩამოვიდნენ მოხალისეთა ახალი ჯგუფები. ისინი მოვიდნენ ამბროლაურის, ხობისა და ცაგერის რაიონებიდან. მოხალისე მშენებელთა ახალ ჯგუფებს რესპუბლიკის სხვა რაიონებიდანაც მოელიან.

აპრილში ჩამოსულ კომკავშირელთა შორის ბევრმა შრომის საუკეთესო მაგალითები გვიჩვენა. შ. კარტოზიას და გ. დრიაძის ბრიგადები, რომლებიც მთლიანად მოხალისეებისაგან არის დაკომპლექტებული, დავალებებს დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ.

მაგრამ ახალჩამოსულთა შორის არიან ისეთები, რომლებიც შრომას გაურბიან, არღვევენ დისციპლინას, ზოგჯერ კომკავშირელისათვის შეუფერებელ საქციელს სჩადიან. კერძოდ თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნიდან წასულთა უმეტესობამ თავი შეირცხვინა. უკეთესად არც თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნიდან გაგზავნილი ახალგაზრდები გამოიყურებიან.

კომკავშირული ორგანიზაციები მეტი გულისხმიერებით უნდა მოეკიდონ ამ დიდი და საპატიო დავალების შესასრულებლად ახალგაზრდების შერჩევას, არ უნდა დაეკმაყოფილონ შემთხვევითი პირების, უდისციპლინო და შრომაში ჩამორჩენილი მუშების თხოვნა ახალმშენებლობაზე გაგზავნის შესახებ. ამავე დროს მშენებლობის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალმოსულთა შორის.

მშენებელთა წინსვლას სერიოზულად აფერხებს ავტოსატრანსპორტო კანტორებისა და მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოს სუსტი მუშაობა. მთელი მშენებლობის შემდგომი წარმატება კი მათზეა დამოკიდებული.

ავტოსატრანსპორტო კანტორები, განსაკუთრებით ქუთაისის კანტორა, ვერ უზრუნველყოფენ მშენებლობას ტრანსპორტით. იმის გამო, რომ აკლიათ სპეცავტომობილები, ძლიერ გაცვდა „გაზ-93“-ის ტიპის მანქანები, ობიექტებზე საკმაო რაოდენობით არ გადის ავტომობილები.

ძალიან ხშირად ცდება მექანიზმები. ეს ძირითადად იმის შედეგია, რომ უხარისხოდ უკეთებენ მანქანებს რემონტს, ცუდად უვლიან, აკლიათ სათადარიგო ნაწილები. ამას წინათ ერთი ექსკავატორი გაჭიანურებული რემონტის გამო ორი კვირის განმავლობაში გაცდა.

საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის ხელმძღვანელობამ, კერძოდ მისმა ავტოსატრანსპორტო და მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ, რათა უახლოეს ხანში გაუმჯობესდეს ავტოტრანსპორტისა და მექანიზმების მუშაობა ლაჯანურჰესის მშენებლობაზე.

**ს. ხარაზიშვილი,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

# შეუსრულებელი განკარგულებანი

ცხაკაიას რკინიგზის სადგური საკვანძოა. აქ მრავალი მგზავრი იყრის თავს. ისინი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სადგურს, რომელიც ერთ-ერთი ლამაზი და საკმაოდ დიდი მოცულობის ნაგებობაა, არა აქვს ფოსტა, შემნახველი სალაროა, დედათა და ბავშვთა ოთახი და სხვ. ყველაფერი ეს თავის დროზე გათვალისწინებული იყო მშენებლობის პროექტში, მაგრამ აშენების შემდეგ სასანაფიო ნაგებობანი არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს. მაგალითად, ოთახი, რომელშიც მედპუნქტი უნდა მოთავსებულიყო, პარტორგანიზაციის მდივანმა შ. ალანიამ თვითნებურად დაიკავა და თავის კაბინეტად გამოაცხადა, ხოლო მედპუნქტს ფოსტისა და შემნახველი სალაროსათვის გათვალისწინებული ბინა მიუჩინა. მას მიბაძა კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ნ. ალანიამ — დედათა და ბავშვთა ოთახი თვითნებურად დაიკავა.

ახლა, როცა კატეგორიულად დადგა ფოსტისა და შემნახველი სალაროს გახსნის საკითხი, ეს ამხანაგები ვერ ელევიან თავიანთ კაბინეტებს, რომლებიც მათთვის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით მათ სამუშაო კაბინეტები სხვაგანაც აქვთ.

სადგურის უფროსი ა. დუნდუა რკინიგზის ხელმძღვანელობის ბრძანება-მითითებებს ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სავალდებულოდ არ თვლის. სხვანაირად არ შეიძლება იმის ახსნა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსის განკარგულება კავშირგაბმულობის საჭიროებისათვის ოთახის გამოყოფის შესახებ დღემდე მაუდქვეშ არის ამოდებული.

ასეთი ბედი ეწია რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსის შეყრილაძის განკარგულებას და ყველა კანონიერ განცხადებასა და საჩივარს, რომელთა რიცხვი არცთუ ისე მცირეა. ამ საქმეს არც კავშირგაბმულობის სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის სარწმუნებულში გამოუჩრდა გულშემატკივარი.

რაიონული კანტორის მიერ სარწმუნებულში გაგზავნილი განცხადების პასუხი, რომელსაც რწმუნებულის მოადგილე ამხ. ჯავახიშვილი აწერს ხელს, ასეთია: „წინადადება მიეცა სადგურის უფროსს (ა. დუნდუა) გამოჰყოს კავშირგაბმულობისა და შემნახველი სალაროსათვის 20 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახი“. ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ წინადადება წინადადებად დარჩა, განკარგულება შეუსრულებელია. ალბათ ამხ. ჯავახიშვილს ჰგონია, რომ სადავო საკითხი მოგვარდა.

საინტერესოა, რატომ არ სრულდება კანონიერი განკარგულებანი ცხაკაიას რკინიგზის სადგურში ფოსტისა და შემნახველი სალაროს გახსნის შესახებ?

**ა. პატარაია,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

# „დავიცვათ სისუფთავე“

„კომუნისტის“ 11 მაისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია „დავიცვათ სისუფთავე“. კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შეეხებოდა თბილისის სასაქონლო სადგურის ეზოს უსუფთაობას.

როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მოძრაობის დირექტორ-პოდპოლკოვნიკი ამხ. ჭყოიძე გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა. წინადადება მიეცათ თბილისის სატვირთო სადგურის უფროსს ამხ. გზრიშვილს და თბილისის რკინიგზის შენობების ნაგებობათა დისტანციის უფროსს ამხ. მანჯლაგაძეს უმოკლეს ხანში აღმოეფხვრათ კორესპონდენციაში მოყვანილი ნაკლოვანებანი.

*კრიტიკა და ბიბლიოგრაფია*

# წიგნი უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის შესახებ

უკრაინელი და ქართველი ხალხების დიად მეგობრობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს მიუძღვნა დოცენტმა ვ. ონიანმა თავისი ნაშრომი „უკრაინელი და ქართველი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობა“, რომელიც ახლახან გამოსცა სახელგამმა.

წიგნში ვ. ონიანი მკითხველს აცნობს X-XI საუკუნეების ძეგლებს, რომლებიც მოგვითხრობენ რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე. ცნობილი რუსი მწერალი და ისტორიკოსი ნ. მ. კარამზინი წერდა: „უეჭვოა, რომ რუსეთს, ძველი დროიდან, კავშირი ჰქონდა ერთმორწმუნე საქართველოსთან: ცნობილია, რომ იზიასლავ I-ს ცოლად ჰყავდა აბასთა თავადის ასული, ხოლო ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟიშვილი სახელოვან თამარ მეფის მეუღლე იყო. ეს კავშირი, რომელიც ერთ დროს დარღვეულ იქნა ბათუს შემოსევის გამო, კვლავ განახლდა: ივერიის მთავრის ალექსანდრეს დესპანი, სახელად ნარიმანი და ხოზემარუმი 1492 წელს ეახლენ იოანეს და სთხოვეს მას მფარველობა“. ვ. ონიანის ნაშრომში მკითხველი თანმიმდევრულად ეცნობა იმ მასალებს, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობის საკითხებთან.

ავტორი კარგად მოქცეულა, რომ წიგნში შეუტანია ხალხთა შორის მეგობრობაში ქართული მხატვრული ლიტერატურის დამსახურების ამსახველი მასალები. შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, ზესარიონ გაბაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებნი გამსჭვალულია ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის იდეებით.

ყოველივე ამის შემდეგ ავტორი მკითხველს აცნობს ორი სსჭოთა რესპუბლიკის — საქართველოსა და უკრაინის ხალხების წრფელი მეგობრობისა და სიყვარულის ისტორიას. ეს მეგობრობა ათეული წლების მანძილზე იზრდებოდა და მტკიცდებოდა დიდი რუსი ხალხის დახმარებით. დავით ბურამიშვილი და ტარას შევჩენკო, აკაკი წერეთელი და ივანე ფრანკო, ილია ჭავჭავაძე და ლესია უკრაინკა ერთნაირად საყვარელნი არიან უკრაინელი და ქართველი ხალხებისათვის, რადგან ისინი უმღერიდნენ ხალხთა შორის მეგობრობას.

ასობით ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში. მათი ურთიერთობა უკრაინელებთან, უკრაინელი ხალხის მშობლიური დამოკიდებულება ქართველ მოსწავლეებთან წარმოადგენს ამ ორი ხალხის ძმობა-მეგობრობის უტყუარ სსჭუთს. „რა ბევრი რამე აქვს საერთო ქართველ ხალხს ჩვენ ხალხთან“, წერდა ტ. შევჩენკო, „რუსეთის იმპერიის სახელოვნებში მოქცეულია... ერთი ხალხი, რომლის ბედი ძლიერ ემსგავსება საქართველოს ბედსა... ამ ქვეყანას ჰქვია უკრაინა“, — აღნიშნავდა ი. გოგებაშვილი.

მაგრამ ჩვენს ხალხებს შორის ჭეშმარიტი მეგობრობა, ხანამშრომლობა და ძმობა შესაძლებელი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. სსჭოთა საქართველოსა და უკრაინის ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები იღვწიან ორი ქვეყნის მეგობრობის უფრო და უფრო განმტკიცებისათვის. უკრაინაში შეიქმნა დიდი ლიტერატურა დ. გურამიშვილის შესახებ, საქართველოში — ლესია უკრაინკაზე. სოფელ მირგოროდის შვიდწლიან სკოლას უწოდეს გურამიშვილის სახელი, იქაური ბავშვები ქართულ ენასაც კი სწავლობენ, რათა დედანში წაიკითხონ გურამიშვილის უკვდავი ქმნილებანი. სურამში შეიქმნა სახლი-მუზეუმი დიდი ბიბლიოთეკით, რომელსაც ეწოდა ლესია უკრაინკას სახელი და სხვ.

წიგნი იძლევა მდიდარ მასალას დავით გურამიშვილის კავშირის შესახებ სკოვოროდასთან, კანტისტთან, დერეკვინთან, ვასილ გოგოლთან, აგრეთვე უკრაინაში მცხოვრებ ქართველებთან, რომლებიც უკრაინელებთან ერთად იღვწოდნენ თავიანთი მეორე სამშობლოს — უკრაინის კეთილდღეობისათვის. უამრავი ცნობებია ტ. შევჩენკოსა და ა. წერეთლის პირადი ნაცნობობის შესახებ. ტარას შევჩენკომ, აკაკის აღიარებით, „სამშობლოს სიყვარული“ ასწავლა მას.

ავტორი სწორად მოქცეულა, რომ ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დაუთმია ამ ორი ხალხის რევოლუციის-შემდგომი მეგობრობის ფაქტებისა და მასალების გადმოცემისათვის.

ცნობილია, რომ ამჟამად თითქმის ყველა ქართველი და უკრაინელი მწერალი, ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენელი ერთმეორეს პირადად იცნობს და მეგობრობს. ასევე მჭიდრო კავშირია დამყარებული ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკთა შორის.

ავტორს უხვად მოჰყავს მხატვრული სიტყვის ისეთ დიდ ოსტატთა და მოღვაწეთა აზრები, როგორიც არიან: დ. გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ტ. შევჩენკო, ლესია უკრაინკა; თანამედროვეებიდან: გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, დ. კოსარიკი, დ. ბელოუსი და სხვები. ამასთან გადმოგვცემს გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ვ. პეტრიაშვილისა და ბ. მელიქიშვილის ურთიერთობას ოდესის უნივერსიტეტის ისეთ გამოჩენილ პროფესორებთან, როგორიც იყვნენ მეჩნიკოვი, სეჩენოვი, ცენკოვსკი, სოკოლოვი და სხვები. წიგნიდან ვიგებთ, რომ ი. ბ. სტალინის თანამებრძოლს ლ. კეცხოველს აქტიური მონაწილეობა მიუღია უკრაინის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობაში. გაშუქებულია აგრეთვე ქართველი საბჭოთა მეცნიერების ნ. კახიანის, ს. გოგიტიძის, ა. ალადაშვილის, პ. ნანეიშვილის, ე. ზაქარაიას, ს. ყიფშიძის, ი. ლორთქიფანიძის, ნ. დემეტრაძის, ა. გოცირიძის, ბ. ოდოლბერიძის და სხვ. წლების მანძილზე სწავლა და ცხოვრება უკრაინაში, რაც აძლიერებს მკითხველთა ინტერესს წიგნისადმი.

საერეკნოზიო წიგნი ხელს შეუწყობს ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

**ვ. გოგოლაძე.**

# შორეული რაიონის ავკარგი

### 1. საქართველოს კარიბჭე

ვინ არ მოხიბლულა საქართველოს სამხედრო გზის მშვენებით, ვის არ გააკვირვებს ცამდე აწვდილი დარიალის თეში და ჯვრის უღელტეხილის დიდებული სანახაობა, ვის არ მოჰგვრის ერუანტელს თერგის ლომისებური ღრიალი და ზედ გზის ზემოთ ჩამოკიდებული კლდეები. — ეს გზა კი არა, პოეზიაა, საოცარი ფანტასტიკური მოთხრობაა, დემონის მიერ დაწერილი და თამარისადმი მიძღვნილი, — წერდა ა. პ. ჩეხოვი.

განსაკუთრებული გამოცოცხლებაა დარიალში ახლა: განუწყვეტლივ მოედინებიან ტურისტები და ექსკურსანტები. ისინი მზიური საქართველოს სანახავად მოდიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან.

დარიალში იწყება ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია. ყაზბეგის რაიონს, რომელიც თერგის ვიწრო ხეობაშია მოქცეული, საქართველოს კარიბჭეს ეძახიან. არსად, საქართველოს არც ერთ კუთხეში ძველი და ახალი ისე თვალსაჩინოდ არ არის დაპირისპირებული, როგორც კავკასიონის მთებში. ერთი მხრივ უძველესი ციხე-სიმაგრეები, სამების ტაძარი, კლდეთა სიღრმეში ოდესღაც გაყვანილი გზები და იქვე ახალი ჰიდროელექტროსადგურები, ახალმშენებლობათა ხარაჩოები, სკოლები, კლუბ-სამკითხველოები, საკოლმეურნეო ნაგებობანი...

ახლა გაიმარჯვა თერგის ხეობაშიც. აქ მგზავრი აუცილებლად შეამჩნევს ადინარის გაღმა-გამოღმა მდებარე ნასოფლარებს, დროთა მსვლელობაში დანგრეულ ბანიან სახლებს. ბევრიც რომ ეძებოთ, ახლა მთელ რაიონში ძველებურ ქოხს ვეღარ იპოვნით, მას ნახავთ მხოლოდ რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მოხევეები ცხოვრობენ კულტურულად, ლამაზ სახლებში, სარგებლობენ ელექტრობით, რადიოთი, საბჭოთა ცხოვრების ყველა სიკეთით.

რაიონს ჰყავს საკუთარი ინტელიგენცია — ექიმები, პედაგოგები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მეცხოველეობის სპეციალისტები. მეცხვარეთა შვილები მონდომებით სწავლობენ საქართველოს და მოძმე რესპუბლიკების საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

ცხოვრება წინ მიდის. უფრო ლამაზი, უფრო მშვენიერი ხდება საქართველოს ეს შორეული კუთხე, და მით უფრო მეუწყნარებელია, რომ არის ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსწორება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ კი რესპუბლიკის სათანადო სამინისტროები რაიონს საქმით დაეხმარებიან.

### 2. უმოქმედო რენტგენი

ჯანმრთელობის დაცვის რაიონული განყოფილების გამგემ როსტომ საბაურმა შემოგვჩივლა:

— რაიონულ საავადმყოფოში სამი წელიწადია რენტგენის ორი აპარატი დგას. მაგრამ ამ ძვირფას აპარატურას დღემდე ვერ ვიყენებთ, არა გვყავს რენტგენოლოგი. არ მახსოვს, რამდენი თხოვნა გავუგზავნეთ ჩვენს სამინისტროს, მაგრამ ამაოდ. ალბათ იცით, ავადმყოფობის სწორი დიაგნოზი ექიმისათვის მთავარია, ურენტგენოდ კი ეს საქმე ძალიან ძნელია. ამიტომაც ძალებული ვართ ბევრი ავადმყოფი გასაშუქებლად თბილისსა და ორჯონიკიძეში ვგზავნოთ...

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამხანაგები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში. ნუთუ მათ არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ ყაზბეგელთა კანონიერი მოთხოვნა? განა ცოტაა ისეთი ექიმი, რომელიც დედაქალაქის ქუჩებს მთელი დღეები უქმად ტკეპნის? მარტო ყაზბეგის რაიონს კი მეორე წელია 14 ექიმი აკლია.

ეს მით უმეტეს შეუწყნარებელია, რომ ზამთრობით, როცა ჯვრის უღელტეხილი იკეტება, თერგის ხეობა 6 თვის განმავლობაში რესპუბლიკას მოწყვეტილია, ყაზბეგში ჩასვლა, რა თქმა უნდა, ზამთარშიც შეიძლება. მაგრამ მხოლოდ ბაქაზე მოვლით, რაც სერიოზულ სიძნელეს ქმნის და რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

### 3. კურორტი „დარიალი“

ჯანმრთელობის ეს შესანიშნავი. კერა ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეა. იგი მდებარეობს ზუნებრივ ფიჭვნარში, ზღვის დონიდან 1.209 მეტრ სიმაღლეზე. „დარიალმა“ ფართოდ გაითქვა სახელი როგორც ძვირფასი სამკურნალო თვისებების მქონე კურორტმა. აქ წარმატებით მკურნალობენ ქრონიკულ მშრალ პლევრიტს, ქრონიკულ ბრონქიტს, მძიმე ფორმის ბრონქიალურ ასთმას, მეორად ანემიას და სხვ.

„დარიალი“ მშვენივრად არის მოწყობილი. მას აქვს კარგი კომუნალური მეურნეობა — ლამაზი შენობები, ელექტროსადგური, რადიოკვანძი, რენტგენის კაბინეტი, ლაბორატორია, ფიზიოკაბინეტი, სტომატოლოგიური, ხამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტები, აეროსოლარიუმი, კლუბი, საზაფხულო ესტრადა, ბიბლიოთეკა, სასპორტო მოედანი.

სანატორიუმი საკურორტო სეზონს მომზადებული შეხვდა. მიმდინარე წელს რემონტი გაუკეთდა წყალსადენს, მოასფალტდა გზები. „დარიალში“ ამჟამად ასობით კაცი მკურნალობს, ისინი მოსული არიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. დამსვენებლებს მზრუნველობით უვლიან გამოცდილი ექიმები.

მიუხედავად ამისა, „დარიალში“ უკმაყოფილების ხმა მაინც გაისმის. რატომ? იმიტომ, რომ აქ მოწესრიგებული არ არის ვაჭრობისა და კულტურული მომსახურების საქმე.

კურორტზე მოქმედებს „საქვაჭრობისა“ და სამომხმარებლო კოოპერაციის ორი ფარდული, სადაც პაპიროსისა და მაგარი სასმელების მეტი არაფერი იშოვნება. იშვიათად იყიდება ხილი, ბოსტნეული, გამაგრილებელი წყლები და სხვა საჭირო საქონელი.

უმჯობესია, რომ აქ ფარდული ჰქონდეს „კურორტვაჭრობას“, მაგრამ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები უარს აცხადებენ, — აქაო და შორს არისო. სიშორე არაფერ შუაშია, მით უმეტეს, რომ სანატორიუმის ავტომანქანა თითქმის ყოველდღე თბილისში პროდუქტების მისაღებად იგზავნება. ამავე მანქანით შეიძლებოდა გასაყიდი საქონლის გადატანაც. დამსვენებელთა კულტურული მომსახურება არადამაკმაყოფილებელია. მარტო ექსკურსიები და ცეკვები საქმეს არ შველის. მიუხედავად დადებული ხელშეკრულებისა, საქართველოს ფილარმონიას და ცენტრალურ სალექციო ბიუროს მიმდინარე წელს აქ არც ერთი კონცერტი და ლექცია არ გაუმართავთ. ალბათ ჭაც სიშორეა „დამნაშავე“.

კურორტი „დარიალი“ მშრომელთა ჯანმრთელობის ნამდვილი სამჭედლოა და მას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

### 4. „სურამის ციხე“ რაიონულ ცენტრში

ცოტა თანხა და შრომა როდი იხარჯება რაიონული ცენტრის კეთილმოწყობად. სადაც არის დამთავრდება პარტიის რაიკომის ახალი, ორსართულიანი შენობის აგება, მიმდინარეობს ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. ყაზბეგს ახლახან შევმატა მშვენივრად გაფორმებული პავილიონი, სადაც სასაუზმეა გახსნილი. მიმდინარე წელს რაიონულ ცენტრში გაყვანილ იქნა ახალი ქუჩა, უფრო ადრე დამთავრდა ცენტრალური მოედნის მოასფალტება.

ვინც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ყაზბეგში არ ყოფილა, ის აქ ბევრ ცვლილებას შეამჩნევს. აიღეთ სკვერი, რომელიც თერგის ნაპირას არის გაშენებული. ვის არ გააკვირვებს ალპურ ზონაში მოშრიალე ახალგაზრდა მცენარეები. ეს ხეები რამდენიმე წლის წინათ სხვა რაიონებიდან ჩამოიტანეს. ადამიანთა მზრუნველობით ისინი მალე შეეგუნენ მთის მკაცრ პირობებს და თანდათანობით წელი მოიმაგრეს.

ნაკლი კეთილმოწყობის საქმეშიც არის. 1948 წლიდან აქ კულტურის სახლის მშენებლობა დაიწყეს. ყაზბეგელებისათვის ეს დიდად სასიხარულო ამბავი იყო. ამიტომაც სწრაფად მოზიდეს ქვა, ქვიშა და სხვა მასალა, ამოიღეს საძირკველი, მაგრამ მშენებლობას ცუდი ბედი ეწია, 300 ათას მანეთამდე დაიხარჯა და ჯერ კედლებიც არ ამოუყვანიათ.

კულტურის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველო (უფროსი ამხ. კალატოზიშვილი) მშენებლობისათვის საჭირო თანხას ყოველწლიურად გამოჰყოფს, მაგრამ დაფინანსებას ახდენს მხოლოდ მესამე-მეოთხე კვარტალში. ასეა წელსაც. მესამე და მეოთხე კვარტალში დაგეგმილია დაიხარჯოს 200 ათასი მანეთი, აქედან მარტო მეოთხე კვარტალში 150 ათასი მანეთი, რის ათვისებასაც ყაზბეგელები ვერ შეძლებენ, რადგან ზამთარი აქ ადრე იწყება. თუმცა ასათვისებელიც აღარაფერია — ამავე სამმართველომ აღნიშნული თანხა რაიონს უკვე მოუხსნა.

ასე ჭიანურდება მშენებლობა. რაიონულ ცენტრს კი კულტურის სახლის შესაფერი შენობა არა აქვს. როცა მოხვეები მშენებლობის მოედანს ჩაუვლიან და დაგროვებულ ქვასა და ლამს შეხედავენ, უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკებენ:

— ნამდვილად „სურამის ციხეა“, შენდება და მაინც არ შენდება...

მართლაც რომ ასეა!

### 5. ხელმძღვანელობის „ახალი სტილი“

ბევრმა იცის, თუ როგორ საჭიროა ანდეზიტი ჩვენი ქიმიური მრეწველობისათვის. ანდეზიტის მდიდარი საბადოებია ყაზბეგის რაიონში. ამ ოციოდე წლის წინათ არშის მთასთან, სადაც ამ ქვის მოპოვება დაიწყო, მთელი დასახლებული პუნქტი გაშენდა.

დარიალის ხეობაშივე მოიპოვება ფიქალი, რომლის დამუშავება ამჟამადაც მიმდინარეობს.

ანდეზიტისა და ფიქალის კარიერები შედის „კავკასიის არალითონური ნედლეულის“ ტრესტის გამგებლობაში, ხოლო რაც შეეხება ყაზბეგის ანდეზიტის წარმოებას, მას ჰყავს დირექცია, რომელსაც ინჟინერი ლ. ქავთარაძე ხელმძღვანელობს.

ერთ მშვენიერ დღეს რაიონში დიდად გაკვირვებული დარჩნენ, როცა ლ. ქავთარაძე მთელი თავისი შტატით ყაზბეგში არ აღმოჩნდა. ბევრი ძებნის შემდეგ გამოირკვა, რომ წარმოების დირექციას სოფელი არშა, სადაც ქვის მოპოვება-დამუშავება ხდება, აღარ მოსწონებია და ქ. ორჯონიკიძეში გადასულა.

მას შემდეგ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები იმისათვის იბრძვიან, რომ დირექცია როგორმე უკან დაბრუნონ, მაგრამ არაფერი გამოდის. ამხ. ქავთარაძე კვლავ ჩრდილოეთ ოსეთის

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა მაღლობას უძღვნის სსრ კავშირის მთავრობას

ბერლინი, 8 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას — გაუქმოს გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის და საბჭოთა საკონტროლო კომისიის ბრძანებანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა. გუშინ ბერლინის ბევრ საწარმოში ამასთან დაკავშირებით მიტინგები და საუბრები გაიმართა.

ბერლინის კარლ ლიბკნეხტის სახელობის უდიდესი სატრანსფორმატორო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში, კერძოდ, ნათქვამია:

მაშინ როცა საბჭოთა მთავრობა ჩვენს სახელმწიფოს ეპყრობა, როგორც სუვერენულ ერს, ამერიკელმა ოკუპანტებმა და მათმა დასავლეთგერმანელმა კვისლინგებმა ჩვენს დებსა და ძმებს დასავლეთ გერმანიაში წაართვეს ცხოვრების ელემენტარული უფლებანი.

## დასავლეთ გერმანიის პრესა საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ

ბერლინი, 8 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის 4 აგვისტოს განცხადება განხილვის მთავარი საგანია დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა მიმართულების პრესაში. გაისმის ხმები მოლაპარაკების იდეის დასაცავად, რომელიც ფართო აღიარებას პოულობს მთელ მსოფლიოში და, კერძოდ, გერმანელ ხალხში.

„მოსკოვის ნაბიჯი, — წერს გაზეთი „ნოიე რურციტუნგი“, — არ იყო მოულოდნელი. ეჭვნეული თანბრის დამთავრების შემდეგ პოლიტიკურ დღის წესრიგში დგას ევროპის საკითხი. დასავლეთის სახელმწიფოთა დედაქალაქებში იცან, რომ საბჭოთა კავშირს სურს ევროპის საკითხების, აგრეთვე გერმანიის გაერთიანების პრობლემის განხილვა და გადაჭრა მხოლოდ ევროპის უშიშროების საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანია“. გაზეთი იმედს გამოთქვამს, რომ დასავლეთი არ უარყოფს წინადადებას ევროპის საკითხებზე თათბირის მოწვევის შესახებ და ეენევის გავლენით თუნდაც თავშეკავებული თანხმობით უპასუხებს.

გაზეთ „ზაუდდოიჩე ცაიტუნგს“ მიაჩნია, რომ საბჭოთა წინადადების უარყოფა სარისკო ნაბიჯი იქნებოდა.

გაზეთი „ვესტფელიშე რუნდშაუ“ აყენებს კითხვას: „რატომ არ შეუძლიათ აღმოსავლეთსა და დასავლეთს, რომლებმაც ეენევაში დაღეს შეთანხმება ფრიად სადავო პრობლემაზე, სახელდობრ ინდოჩინეთის შესახებ, იგივე გააკეთონ გერმანიის მიმართ? ჩვენ არ უნდა უარვყოთ წინასწარ საბჭოთა წინადადება... ჩვენთვის, გერმანელებისათვის, საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ აღდგეს ჩვენი ქვეყნის ერთიანობა. თუ ამას შეიძლება ხელი შეუწყოს ახალმა თათბირმა, რომელსაც ეენევაში წარმატების შემდეგ უდავოდ უფრო ხელსაყრელი წინაპირობები ექნებოდა, ჩვენ უნდა დავთანხმდეთ თათბირზე“.

„არავინ არ დაეთანხმება იმას, — წერს გაზეთი „ნოიერ ფორვერტსი“, — რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ უკვე ჩაფუშული პროექტის ხსნის ცდით შეგვიძლია გავამართლოთ გერმანიისა და ევროპის საკითხებზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ახალი მოლაპარაკების უარყოფა“.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის საინფორმაციო ბიულეტენს მიაჩნია, რომ საბჭოთა მთავრობის 24 ივლისის ნოტაში არის „გამოსავალი პუნქტები; რომლებიც წარმატების იმედს იძლევიან“. „სრულიად არასწორი იქნებოდა, — წერს ბიულეტენი, — თავიდანვე უარი გვთქვა არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებაზე“.

## დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სესია პეკინში

პეკინი, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, დღეს პეკინში იხსნება დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სესია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში უკვე ჩამოფრენა 170-ზე მეტი დელეგატი, მეთვალყურე და სტუმარი ყველა კონტინენტის 49 ქვეყნიდან. მოელიან კიდევ 13 ქვეყნის დელეგატების ჩამოსვლას.

სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. ახალგაზრდობის მოძრაობა კოლონიურ და სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში და დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ამოცანები.

2. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წევრი ორგანიზაციების მონაწილეობა სოფლის ახალგაზრდობის საერთაშორისო შეკრებისათვის მზადებაში.

3. ახალგაზრდობისა და სტუდენტების მშვიდობისა და მეგობრობის მე-5 საერთაშორისო ფესტივალისათვის მზადება.

სესია 15 აგვისტომდე გასტანს.

## დამთავრდა ხელმოწერა ჩინეთის ეკონომიური მშენებლობის სახელმწიფო სესხზე

პეკინი, 8 აგვისტო. (საკდესი). დღეს ცენტრალური პრესა იუწყება, რომ დამთავრდა ხელმოწერა ეკონომიური მშენებლობის სახელმწიფო სესხზე. ჩინელი ხალხი მხურვალედ გამოეხმაურა პარტიისა და მთავრობის მოწოდებას სახელმწიფოს სესხად მისცეს თავისი დანაზოგი. 24 ივლისისათვის ხელმოწერის თანხამ მიაღწია 9.200 მილიარდ იუანს და დაგეგმილ ციფრს 53 და მეტი პროცენტით გადაჭარბა. 20 ივლისისათვის ნაღდად შეტანილი სახსრების თანხამ 66,6 პროცენტი შეადგინა. სესხზე ხელმოწერაში მონაწილეობას იღებდა ჩინეთის მოსახლეობის ყველა ფენა.

## ცეცხლის შეწყვეტა ლაოსსა და კამბოჯაში

პარიზი, 7 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, დღეს დილის 8 საათზე ადგილობრივი დროით ლაოსში შეწყდა სომარი მოქმედება. ცეცხლი შეწყვეტილია აგრეთვე კამბოჯაში, სადაც სომარი მოქმედება შეწყვეტეს დილის 7 საათზე ადგილობრივი დროით.

## აზიის კოლექტიური უშიშროების უზრუნველსაყოფად

ჯაკარტა, 6 აგვისტო. (საკდესი). ინდონეზიის საზოგადოებრიობა მოითხოვს უზრუნველყოფილ იქნას აზიის ხალხთა კოლექტიური უშიშროება.

ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აიდიტამ დღეს გააკეთა მოხსენება, რომელშიც მოითხოვს, რომ ინდონეზიის მთავრობამ გამოიჩინოს თაოსნობა აზიის ყველა ქვეყნის სპეციალური კონფერენციის მოწვევის საქმეში. „ინდონეზიის ხალხი,— ნათქვამია განცხადებაში, იწონებს, რომ მთავრობამ უარყო ამერიკელების მიერ წარმოდგენილი სამხედრო პაქტი, მაგრამ ახლა განა საკმარისია მარტო პაქტის უარყოფა? ჩვენ მიგვაჩნია, რომ არა. როგორც ამბობ გვიკარნახებენ, ახლა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იმუქრებიან, უნდა შეიქმნას აზიის ყველა ხალხის უშიშროების კოლექტიური პაქტი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს პაქტი მშვიდობის ყველაზე დიდი გარანტია იქნება აზიაში. პაქტს შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდეგი პრინციპები: ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემა, თავდაუსხმელობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორუფლებიანობა, ურთიერთსარგებლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა, ესე იგი პრინციპები, რომლებმაც დაგვანახვეს თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა ჯოუ ენ-ლაისა და ინდოეთისა და ბირმის პრემიერ მინისტრებს შორის შეთანხმებებში“.

განცხადებაში შემდეგ ნათქვამია: „ჩვენთვის, ინდონეზიელებისათვის, ამ პაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმიტომ, რომ იგი უზრუნველყოფს მთელი აზიის მშვიდობას, არამედ იმიტომაც, რომ მას პირდაპირი კავშირი აქვს ჩვენი ეროვნული ინტერესების განხორციელებასთან — ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებასთან უცხოთა კაპიტალის მოძალებისაგან და დასავლეთ ირიანის საკითხის გადაჭრასთან. როგორც ცნობილია, იმპერიალისტები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით დაინტერესებული არიან იმით, რომ შეინარჩუნონ უპირატესი უფლებანი ინდონეზიაში. მათ სურთ, რომ დასავლეთი ირიანი პოლანდიელთა ხელში იყოს. ცხადია, რომ ამ უფლებათა დასაცავად იმპერიალისტებს ყოველთვის შეუძლიათ მოახდინონ აგრესია ინდონეზიელი ხალხის წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი აგრესია აუცილებლად ჩაიფუშება, თუ აზიის ხალხთა მრავალმილიონიანი მასები მოგვეგებრობიან. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ აზიის ხალხთა კოლექტიური უშიშროების პაქტის არსებობა შექმნის არა მარტო აზიის მშვიდობის მძლავრ ციხე-სიმაგრეს, არამედ ხელსაც შეიწყობს ინდონეზიელი ხალხის ეროვნული მიზნების სწრაფ განხორციელებას. ამიტომ მოვუწოდებთ მთავრობას ითავოს აზიის ყველა ქვეყნის კონფერენციის მოწვევა კოლექტიური უშიშროების პაქტის დასადებად.

## „ევროპის კოლექტიური უშიშროების იდეას მხურვალედ ინონეებენ“

ბუქარესტი, 7 აგვისტო. (საკდესი). დღეს რუმინეთის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის შესახებ.

ახალი საბჭოთა წინადადება, წერს გაზეთი „სკინტეია“, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი ერთი წუთითაც არ წყვეტს თავის ღონისძიებებს იმისათვის ბრძოლაში, რომ შეელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, განვითარდეს ეენევის თათბირის წარმატება ახალ შეთანხმებათა დადების გზით, რომლებიც უზრუნველყოფენ ევროპის კოლექტიურ უშიშროებას. ჩვენს ქვეყანაში ევროპის კოლექტიური უშიშროების იდეას მხურვალედ იწონებენ, რადგან იგი შეესაბამება რუმინელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

„მსოფლიოს ხალხები, — წერს გაზეთი „რომანია ლიბერა“, — დარწმუნებული არიან, რომ მესამე მსოფლიო ომი, რომელსაც ახლა ამზადებენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები და მათი თანამზრახველნი, შეიძლება აცილილოთ და კიდეკაც უნდა ავიცილოთ თავიდან. ამიტომ საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საქმეში ფართოდ უჭერენ მხარს მთელ მსოფლიოში. ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემას, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა, განსაკუთრებული ღირსება აქვს. გარდა იმისა, რომ იგი ეყრდნობა ევროპის ყველა ქვეყნის თანაარსებობასა და თანამშრომლობას, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა, ასეთი სისტემის შექმნა გზას გაუხსნიდა გერმანიის საკითხის გადაჭრას ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის შექმნის სულისკვეთებით, გერმანიისა, რომელიც მშვიდობის გარანტია იქნებოდა ევროპაში.

## კოლექტიური უშიშროება თანაბრად შეეფერება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ინტერესებს

ბუდაპეშტი, 9 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „საგეიაზვეპმა“ მოწინავე სტატია უძღვნა საბჭოთა მთავრობის წინადადებას — ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ.

ევროპის უშიშროების საქმე, წერს გაზეთი, ერთიანი და განუყოფელია. არ არსებობს ცალკე „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ უშიშროება, ისევე როგორც არ არის „ჩრდილოეთის“ ან „სამხრეთის“ უშიშროება. საბჭოთა კავშირის მიერ შემოთავაზებული გზა მარტივი და ნათელია — ნეიტრალური გერმანია, პაქტი ევროპის ყველა ქვეყანას შორის ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ, მშვიდობიანი ვაჭრობა. ვის შეეძლია უარყოს, რომ ეს ის ისტორიული წამოწყება, რომელიც ახლებურად აყენებს საკითხს ევროპის უშიშროების შესახებ და გვიჩვენებს გამოსავალს ახლანდელი აწეწილი მდგომარეობიდან, თანაბრად შეეფერება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ინტერესებს.

საბჭოთა წინადადება, ხაზგასმით აღნიშნავს, გაზეთი, სულ უფრო მეტ ადგილს იპყრობს ევროპის საზოგადოებრივ აზრში.

## „ფრანგების უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერს მოლაპარაკებას ევროპის უშიშროების საკითხებზე“

პარიზი, 7 აგვისტო. (საკდესი). პარლამენტის ცნობილმა მოღვაწემ ჟაკ სუსტელმა (ყოფილმა დეგოლელმა) გაზეთ „კომბაში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მხარს უჭერს მოლაპარაკებას ევროპის უშიშროების შესახებ.

„ბერლინის თათბირის შემდეგ, — ნათქვამია სტატიაში, — საბჭოთა კავშირს მესამედ შემოაქვს წინადადება მოწვეულ იქნას დიდი სახელმწიფოების ახალი თათბირი ევროპის უშიშროების საკითხზე. ამ ნაბიჯის პასუხად მაშინვე გაჩნდა ოფიციალური კომენტარების შხამიანი ნაკადი; მხოლოდ იმიტომ, რომ ეს რუსების წინადადებაა, წინასწარ გადაჭრით უარყოფენ მის სერიოზულ ხასიათსა და მნიშვნელობას... თუ ხვალ მოლოტოვი განაცხადებს, რომ დღის ყველაზე ნათელი ნაწილია შუადღე, ეჭვი არ არის, რომ ბლომად გამოჩნდება კომენტატორები, რომლებიც ავტორიტეტულად დაიწყებენ საწინააღმდეგოს მტკიცებას.

საჭიროა ვიცოდეთ, გადაწყვეტს საფრანგეთის მთავრობა უარყოს საბჭოთა წინადადება თუ, პირიქით, მას ეყოფა გამბედაობა გააკეთოს ის, რაც, დარწმუნებული ვარ, სურს ფრანგების უდიდეს უმრავლესობას: დაიწყოს აღმოსავლეთთან მოლაპარაკება ევროპის პრობლემებზე. მე ვიტ ვხედავ ვერავითარ მისაღებ არგუმენტს მეორე გადაწყვეტილების უარყოფისათვის“.

ეხება რა მტკიცებას, თითქოს ეს მოლაპარაკება წინასწარ განწირულია ჩასაფუშავად, სუსტელი განაგრძობს:

მაგრამ განა უფლება აქვთ მარცხს მოელოდნენ, სანამ მოლაპარაკება არ უცდიათ? ჩვენი უფლება და ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ ძხედველობაში მივიღოთ უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ინტერესები. მენდეს-ფრანსმაიცის, რომ ამათი უმრავლესობის დიდი სუტკვი და იმედი, ვინც მას მიანიჭა რწმუნებანი და ძხარს უჭერს, არის ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება ვაშინგტონისადმი დამორჩილების პოლიტიკისაგან, რომელსაც ჩვენ თავს გვახვევდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში“.

## მდგომარეობა მაროკოში

პარიზი, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც საფრანგეთის პრესის ცნობებიდან ჩანს, მდგომარეობა მაროკოში უკანასკნელი დღეების მანძილზე ძლიერ გამწვავდა. 7 აგვისტოს ქალაქ პორტ-ლიოტეში (მაროკოს ჩრდილოეთ ნაწილში) მოხდა, ერთი მხრივ, ჯარებისა და პოლიციის და, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის სისხლისმღვრელი შეტაკებანი. შეტაკებები დაიწყო იმით, რომ პოლიცია ძალით ცდილობდა ვაჭრებისათვის გაეღებინებინა მაღაზიები (რომლებიც დაიხურა ფრანგ კოლონიურ ხელისუფალთა პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად). შეგროვებულმა ხალხმა პოლიციელებს ქვა დაუშინა. დაწყებული შეტაკების შედეგად 11 კაცი მოკვდა და 50-ზე მეტი დაიჭრა. მანიფესტანტებმა ქვა დაუშინეს მთელ რიგ სახლებს ევროპელთა უბნებში და ცეცხლი წაუკიდეს ევროპელთა კუთვნილ ავტომანქანებს. ქალაქში შემოღებულია საალყო წესები. ქუჩებსა და მოედნებს პატრულობენ ჯარისკაცთა რაზმები.

აზრუში (მეკნესის სამხრეთით) პოლიციამ ჩხრეკა მოაწყო და დააპატიმრა 200 მაროკოელი. კასაბლანკაში შეტაკებათა შედეგად მოკლულია ორი და დაჭრილია ოთხი კაცი. ქალაქში შეიყვანეს ჯარებისა და პოლიციის მნიშვნელოვანი რაზმები, აგრეთვე ჯავშნიანი მანქანები. ფრანს პრესის საგენტო იუწყება, რომ კასაბლანკაში ერცელდება ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ ადგილობრივ მოსახლეობას ბოიკოტი გამოუცხადოს ფრანგულ საქონელს და გიფიცონ ფრანგ ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მაროკოელთა კუთვნილი ყველა მაღაზია დაკეტილია.

გაზეთი „ფრანს სუარის“ ცნობით, მაროკოს ნაციონალისტურმა პარტიამ „ისტიკლალმა“ მოუწოდა მოაწყონ ერთი კვირის საყოველთაო გაფიცვა. კასაბლანკის საავტობუსო პარკის მაროკოელ მოსამსახურეთა 80 პროცენტი გუშინ სამუშაოზე არ გამოსულა. გაზეთი „ლუმანიტე დიმანში“ წერს, რომ მთელ მაროკოში ფართოვდება საგაფიცვო მოძრაობა და ეწყობა დემონსტრაციები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდის სასასუხოდ კოლონიური ხელისუფალნი იღებენ რეპრესიულ ღონისძიებებს, აშრავლებენ ფრანგი ჯარების რაოდენობას და მაროკოში შეჰყავთ მაშველი ძალები ზღვით და თვითმფრინავებით. როგორც ფრანს პრესის საგენტოს ცნობებიდან ჩანს, ხელისუფალთ დიდი ცენტრებისაკენ მიჰყავთ იმ ტომებისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები, რომელთა შეიხები მხარს უჭერენ ფრანგებს. გუშინ საფრანგეთის გენერალური რეზიდენტი მაროკოში ლაკოსტი და საფრანგეთის ჯარების სარდალი გენერალი დიუვალი კასაბლანკაში ჩავიდნენ „უშიშროების დაცვის ღონისძიებათა საინსპექციოდ“. ლაკოსტმა რადიოთი მიმართა ქალაქ ფესის მცხოვრებთ, სადაც ამ დღეებში სერიოზული შეტაკება მოხდა, და იმუქრებოდა, რომ „სასტიკ ღონისძიებებს“ მიიღებს, თუ წესრიგი აღდგენილ არ იქნა.

## საომარი მზადება ეგვიპეტში

კაირო, 7 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „აჰბარ ელ-იუმი“ იუწყება, ეგვიპტის ხელისუფლებმა მიიღეს გადაწყვეტილება „ერთიერად გაადიდონ ეგვიპტის არმია როგორც რიცხობრივად, ისე შეიარაღების მხრივ, ერთი წლის განმავლობაში, დაწყებული დღეიდან“.

გაზეთის ცნობით, გადაწყდა აგრეთვე გარდაქმნან რაზმები ეროვნული გვარდიისა, რომელიც ახლა ტერიტორიულ არმიად მიიჩნიათ. „ეგვიპტის თვითეულ სოფელში. — წერს გაზეთი, — შეიქმნება მუდმივი სამხედრო ბანაკი, სადაც მოამზადებენ ეროვნული გვარდიის რაზმების მებრძოლებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტის ამგვეგი

## საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის უმაღლესი ჯილდო მიეკუთვნა საბჭოთა კლანერისტს ვ. ილჩენკოს

ლონდონი, 7 აგვისტო. (საკდესი). ლონდონში დამთავრდა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის საპლანერო კომისიის სხდომები. საპლანერო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა საპლანერო სპორტის წარმომადგენლებმა ვ. ილჩენკომ და პ. ტურჩინმა. კომისიის გადაწყვეტილებით საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის უმაღლესი ჯილდო უმოტოროდ ფრენის დარგში დიდი მიღწევისათვის 1953 წელს — ლილიენტალის მედალი — მიეკუთვნა საბჭოთა პლანერისტს ვ. ილჩენკოს. ვ. ილჩენკომ დაამყარა ორადგილიანი პლანერით სიშორეზე ფრენის მსოფლიო რეკორდი, გაიარა ძირდაუშვებლად მოსკოვიდან სტალინგრადმდე 829 კილომეტრი და 822 მეტრი.

გარდა ამისა, საბჭოთა პლანერისტები დაესწრნენ, როგორც მეთვალყურენი, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური საპლანერო ორგანიზაციის კონგრესსა და მსოფლიო ჩემპიონატს საპლანერო სპორტში.

## საბჭოთა პარაშუტისტების ბრწყინვალე გამარჯვება

### საპარაშუტო სპორტში 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონია საბჭოთა სპორტსმენი ი. ფედჩიშინი

სენტ-იანი (საფრანგეთი), 7 აგვისტო. (საკდესი). გუშინ დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება საპარაშუტო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ 7 ქვეყნის — საფრანგეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა — და იუგოსლავიის სპორტსმენები. თვითეული ეროვნული გუნდი შედგებოდა ხუთი პარაშუტისტისაგან. მარტო ამერიკის შეერთებული შტატები იყენენ წარმოდგენილი ერთი სპორტსმენით.

შეჯიბრების მსვლელობაში გამოვლინდა საბჭოთა პარაშუტისტების უპირატესობა და მათი შესანიშნავი ოსტატობა. უკვე პირველი ვარჯიშის შესრულების შემდეგ პრესამ და საფრანგეთის სპორტულმა წრეებმა აღნიშნეს საბჭოთა სპორტსმენების ძლიერი ნებისყოფა, მათი ოსტატობა, გუნდის შეწყობილი მოქმედება და მისი ყველა წევრის მაღალი დისციპლინიანობა.

შეჯიბრების შედეგად პირველი გუნდური ადგილი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც 2.100 შესაძლებელში 1.861,5 ქულა მოაგროვეს. მეორე გუნდური ადგილი დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის პარაშუტისტებმა — 1.598,5 ქულა, მესამე ადგილზე გამოვიდა საფრანგეთის გუნდი — 1.487 ქულა.

პირად პირველობაში პირველი ადგილი დაიკავა და 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა პარაშუტისტმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ფედჩიშინმა. 700 შესაძლებელში მან მოაგროვა 672 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა პარაშუტისტმა სპორტის ოსტატმა ვ. მარიუტკინმა — 610,5 ქულა, მესამე ადგილზე გამოვიდა ფრანგი სპორტსმენი შაზაკი — 582,5 ქულა. მეოთხეზე — საბჭოთა სპორტსმენი კოსინოვი.

მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ორმა ქალმა — საბჭოთა სპორტსმენმა ვ. სელიავერსტოვამ და ცნობილმა ფრანგმა სპორტსმენმა მონიკა ლარიშმა. ამ შეჯიბრებაში გამოვლინდა საბჭოთა პარაშუტისტი ქალის დიდი უპირატესობა, რომელმაც შეჯიბრების ყველა მონაწილეთა შორის მე-9 ადგილი დაიკავა და 139,5 ქულით გაუსწრო მონიკა ლარიშს. ლარიში მე-19 ადგილზე აღმოჩნდა.

შეჯიბრებამ ცხადყო ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდა პარაშუტისტთა სპორტული ოსტატობის მნიშვნელოვანი ზრდა, რომლებმაც გუნდურ პირველობაში მე-2 ადგილი მოიპოვეს.

## დამთავრდა სტუდენტთა XII მსოფლიო საზაფხულო ასპარეზობა

ბუდაპეშტი, 8 აგვისტო. (საკდესი). დღეს მთავრდება სტუდენტთა XII მსოფლიო ასპარეზობა. გამოვლინდნენ გამარჯვებულნი სპორტის ცალკეულ სახეობებში.

საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებმა გუნდურ ჩათვლაში 454,55 ქულა მოაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზეა უნგრეთის გუნდი, მესამეზე — რუმინეთისა.

ტანვარჯიშში სტუდენტთა ასპარეზობის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ლენინგრადის ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტის სტუდენტი თამარ მანინა. მეორე ადგილზეა უნგრელი ტაში და მესამეზე — ლიუდმილა ეგოროვა (სსრ კავშირი).

საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა ტანვარჯიშის შეჯიბრებებში მოიპოვეს 26 ოქროს, 19 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი.

გრძელდება შეჯიბრება მძლეოსნობაში. გუშინ კიდევ ორ სახეობაში პირველი ადგილი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ბადროს მტყორცნელმა ბეგლიოკოვამ გეიჩვენა საუკეთესო შედეგი 45,36 მეტრი. ვაჟთა ამანათრბენში 4×100 მეტრზე სსრ კავშირის გუნდმა, რომელიც გამოდიოდა ტოკარევის, რიაბოვის, სანაძისა და ბარტენევის შემადგენლობით, დაამთავრა 41,1 წამში. ეს საუკეთესო შედეგია სტუდენტთა მსოფლიო საზაფხულო ასპარეზობაში.

გუშინ დამთავრდა კალათბურთელთა გუნდების შეჯიბრება. საბჭოთა კალათბურთელმა ქალებმა დაიკავეს მეორე ადგილი, კალათბურთელმა ვაჟებმა — მესამე ადგილი.

ბუდაპეშტში, 9 აგვისტო. (საკდესი). 9 დღეს ბუდაპეშტის სტადიონებზე, სასპორტო დარბაზებში, სასპორტო მოედნებზე ფრიალებდა ალებები 30-ზე მეტი ქვეყნისა, რომელთა სპორტსმენები მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტთა XII მსოფლიო საზაფხულო ასპარეზობაში. ახლა ასპარეზობა დამთავრდა. მან ჩაიარა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში. ეს იყო მეგობრობის ნამდვილი შეხვედრები, თუმცა სასპორტო მოედნებზე, აუზებში და სტადიონებზე განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობდა სპორტული ბრძოლა. ასპარეზობამ გამოიწვია არა მარტო უნგრეთის საზოგადოებისა და უნგრული პრესის, არამედ აგრეთვე ბევრი ქვეყნის საზოგადოებრიობის ინტერესი. ასპარეზობას დაესწრო ათობით უცხოელი ჟურნალისტი, მათ შორის იყვნენ ამ ქვეყნების კორესპონდენტები, რომელთა სტუდენტები მონაწილეობას არ იღებდნენ ასპარეზობაში.

ასპარეზობის მსვლელობაში გამოვლინდა ამ შეჯიბრებათათვის უმაგალითო შედეგები. დამყარებულია მთელი რიგი მსოფლიო რეკორდები, სტუდენტთა თითქმის 30 რეკორდი განახლებულია. მონაწილეთა რაოდენობით ეს ასპარეზობა მნიშვნელოვნად სჭარბობს ყველა წინანდელს. შეჯიბრებებში გამოვიდა 2.108 სპორტსმენი.

გუშინ გაიმართა მძლეოსნებისა და ფრენბურთელების უკანასკნელი შეჯიბრებანი. საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს ჩინეთის გუნდს და პირველი ადგილი დაიკავეს. ჩვენს ფრენბურთელ ქალებს გადაეცათ ოქროს მედლები. წარუმატებლად გამოდიოდა საბჭოთა ფრენბურთელების ვაჟთა გუნდი. დამარცხდნენ რა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან, მათ დაკარგეს თავიანთი ძალების რწმენა და უკანასკნელი შეხვედრები დაბალ სპორტულ დონეზე დაამთავრეს. შედეგად სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა მეექვსე ადგილი დაიკავა.

ასპარეზობის დახურვის წინ მთელი რიგი ახალი წარმატებანი მოიპოვეს საბჭოთა მძლეოსნებმა. 4×100 მეტრზე ამანათრბენში ქალთათვის პირველი ადგილი მოიპოვა ჩვენმა გუნდმა კრეკინის, იტკინის, ულიტკინის და კოშელევას შემადგენლობით. შედეგია 46,3 წამი. 400 მეტრზე თარჯრბენში პირველ ადგილზე გამოვიდა იულინი (სსრ კავშირი), რომელმაც გვიჩვენა დრო 51,9 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენი ილინი (52,1 წამი), მესამე ადგილი დაიკავა რუმინელმა საველმა.

ხუთეტიდში — თარჯრბენში 80 მეტრზე საბჭოთა სპორტსმენმა არალოვამ მეორე ადგილი დაიკავა და პირველობა დაუთმო პოლონელ დუნსკაიას. მესამე ადგილზეა მარტინენკო (სსრ კავშირი).

გუშინ საღამოს ბუდაპეშტის სახალხო სტადიონზე, სადაც შეიკრიბა 80 ათასი მაყურებელი, მოხდა სტუდენტთა ასპარეზობის საზეიმო დახურვა. ტრიბუნებს ჩაუარეს გამარჯვებულმა — მსოფლიო ჩემპიონებმა სტუდენტთა შორის, რომლებსაც მაყურებლები მიესალმებოდნენ. ბევრმა ჩვენმა სპორტსმენმა რამდენიმე მედალი მოიპოვა.

ასპარეზობის დახურვისას სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის გენერალურმა მდივანმა ირჟი პელიკანმა აღნიშნა, რომ ასპარეზობამ განსაკუთრებით გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და ხელი შეუწყო ყველა ქვეყნის სპორტსმენების მეგობრობის განმტკიცებას. სტუდენტთა ასპარეზობაში გამარჯვებულთ და შეჯიბრებათა ყველა მონაწილეს მიესალმა ასპარეზობის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დიულა ჰედი. მან სპორტსმენებს უსურვა ახალი წარმატებანი მომავალ ასპარეზობაში.

## ჩვენი ქვეყნის პირველობა ფეხბურთში

მოსკოვი, 9 აგვისტო. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე დღეს გაიმართა შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში მოსკოვის „ტორპედოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

• • •

ხარკოვი, 9 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა მორიგი შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. კიეველი დინამოელები შეხვდნენ საზოგადოება „ლოკომოტივის“ (ხარკოვი) ფეხბურთელებს.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 1:0 ხარკოველი რკინიგზელების სასარგებლოდ.

• • •

თბილისი, 9 აგვისტო. დღეს „დინამოს“ სტადიონზე თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტი“ და თბილისის „დინამო“. შეხვედრა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

## ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრება

მოსკოვი. 8 აგვისტო. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში კაირას, 8 აგვისტოს, დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების ფინალური შეჯიბრება 1954 წლის პირველობისათვის.

როგორც ცნობილია, ივლისის ბოლო რიცხვებში გაიმართა ზონალური შეჯიბრება ყველა მომმე რესპუბლიკის, ლენინგრადის და მოსკოვის ახალგაზრდა სპორტსმენების მონაწილეობით. შეჯიბრება მიმდინარეობდა სამ ზონად. თვითეულ ზონაში ფინალში გავიდა ორ-ორი გუნდი — მოსკოვის, რსფსრ, უკრაინის, სომხეთის, ლიტვის და საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები.

ფინალის პირველი დღის შეხვედრები დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. საქართველოს ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს სომხეთის გუნდთან. მოსკოვის გუნდმა